პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

მეოთხე წელიწადი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 42
ტელეფონი 19—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | კაკუ. გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება—5 მან., განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

№ 168 (1023) შაბათი 26 ივლისი 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 4 კ. № 168 (1023)

დღიური

— პოლონეთში საშინელი ეკონომიური კრიზისი არის გამეფებული.

— ინდოეთში წყალდიდობამ დიდი ზარალი მიაყენა მცხოვრებლებს.

— ესტონია საშინელ ფინანსიურ კრიზისს განიცდის.

— ნორვეგიის ახალი მთავრობის შედგენა დაევალა მემარცხენე ფრთის ლიდერს.

— საბერძნეთში შესდგება ახალი მთავრობა.

— ბრაზილიაში დიდი ბრძოლაა აჯანყებულებსა და მთავრობის ჯარებს შორის.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანია

მალე ამიერ-კავკასიის და საქართველოს ზოგიერთ რაიონებში დაიწყება 1924—25 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა.

აღმოსავლეთ საქართველოში წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა უკვე თითქმის დამთავრდა. დასაბეგრი ქონება უკვე აღწერილია და შედგენილია გადასახადის საერთო ნუსხა.

მთელ ამიერ-კავკასიაში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს 1 დეკემბრისა, ხოლო დასავლეთ საქართველოში, სადაც მოსავლის აკრეფა ჩვეულებრივ იგვიანებს, ეს ვადა გაგრძელებულია 1 იანვრამდე.

საბჭოთა ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკა კლასობრივ პრინციპზეა აგებული და სამეურნეო გადასახადის განაკვეთებიც შეფარდებულია ცალკე მეურნეობათა შემოსავლიანობასთან.

საკავშირო საბჭოთა მეორე ყრილობის რეზოლიუციაც მიუთითებს მთავრობას სასოფლო-მეურნეო გადასახადის მაქსიმალურათ დაახლოების საჭიროებაზე საშემოსავლო გადასახადთან. მომავალი წლისთვის ეს ხაზი უკეთ იქნება გატარებული, ვინაიდან ჩვენი საგადასახადო აპარატის გამოცდილება და დაკვირვება მატულობს, მისი მუშაობა თანდათან უფრო ახლოს უდგება ღარიბი გლეხობის ინტერესებს.

წარსულ წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების დროს შემჩნეული იყო დეფექტები, თუმცა საერთოდ გლეხობა თანაგრძნობით შეხვდა გადასახადის აკრეფას და თითქმის მთელი რაოდენობით შეასრულა ის. ამ დეფექტებს და შეცდომებს მიმდინარე საგადასახადო კამპანიის ჩატარების დროს მაინც აღარ უნდა ექნეს ადგილი, როგორც ადგილებზე, ისე ცენტრში მომუშავე ყველა ამხანაგებმა უნდა მიიღონ ზომები გადასახადის განაკვეთების სამართლიანი განაწილებისათვის, მისი უმტკივნეულო და წარმატებითი აკრეფისათვის.

ამისთვის კი საჭიროა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ დეკრეტის ახლოს გაცნობა, მისი ყველა მუხლების დეტალურათ შესწავლა. ყველა ორგანიზაციები და ამხანაგები, რომლებსაც კავშირი აქვთ სოფელთან, უნდა სცდილობდენ გლეხობისათვის დეკრეტის შინაარსის სისწორით გაცნობას და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის განმარტებას.

ყველა ზომები უნდა იქნეს მიღებული, რომ საბჭოთა ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკის დედა-აზრი ადგილებზე გადამახინჯებულ არ იქნეს, რომ დეკრეტის პრინციპები უცვლელათ იქნეს გატარებული ცხოვრებაში.

გადასახადის განაკვეთები რაიონების და მოსავლიანობის მიხედვით იქნება განსაზღვრული. დეკრეტში ნაგულისხმევია შეღავათები წითელარმიელთა, პარტსკოლების, მუშფაკების მსმენელთა და სხვათა ოჯახებისთვის; სრულებით თავისუფლდება გადასახადისაგან ისეთი მეურნეობა, რომელსაც ხუთი ან ხუთზე მეტი მჭამელი ყავს „უკეთუ ამ მეურნეობის სახნავი (გადატანით) ორ დესეტინაზე ნაკლები იქნება". არის სხვა ხასიათის შეღავათებიც, რომელშიაც საჭიროა სოფლის მოსახლეობა ნათლად იქნეს გარკვეული, რომ შესძლოს მით სარგებლობა.

დეკრეტის მეხუთე მუხლის თანახმად სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დაბეგვრის ერთეულად მიღებულია დესეტინა სახნავი მიწა. ყველა დასაბეგრი საგნები გადატანილ უნდა იქნას სახნავ ერთეულზე სათანადო შეფარდებით. დასაბეგრი ქონების საერთო ჯამის მიხედვით უნდა სწარმოებდეს თვითეულ მეურნეობიდან გადასახადის აღება. უნდა ვეცადოთ, რომ ამ შეფარდების და გადასახადის საერთო ჯამის გამომუშავების დროს შეცდომებს და მით უმეტეს რაიმე ბოროტმოქმედებას ადგილი არ ექნეს. გადასახადის წარმატებითი აკრეფისთვის საჭიროა, რომ გლეხობაში და განსაკუთრებით მის უღარიბეს ნაწილში გადასახადის არა სწორი განაწილებით და გამოანგარიშებით უკმაყოფილება არ დაიბადოს.

თუ დეფექტები და შეცდომები აცილებულ იქნა, გლეხობა წელს შარშანდელზე უფრო მეტი ხალისით და თანაგრძნობით შეხვდება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიას.

საქართველოს ზოგიერთ ადგილებში მოსავალი წელს უამინდობის გამო მცირე იქნება. რასაკვირველია ამ გარემოებას სავსებით უნდა გაეწიოს ანგარიში და ცალკე რაიონების თუ მეურნეობის სტიქიურ დაზარალების მიხედვით შემცირებული, ან სრულებით მოხსნილ უნდა იქნას მათგან სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. ამისათვის საჭიროა სწორი ცნობები ადგილებზე მოსავლიანობის შესახებ, გადამეტებას აქ არავითარ შემთხვევაში ადგილი არ უნდა ქონდეს.

წარსულ წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფას დიდათ უშლიდა ხელს ფულის კურსის ცვალებადობა, მისი კატასტროფიული დაცემა. წელს ეს დაბრკოლება აღარ არსებობს და სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ყველგან ფულით იქნება აკრეფილი. ეს უმჯობესია სახელმწიფოსთვის და თვით გლეხობისთვისაც, რომელსაც აღარ მოუხდება დამამზადებელ პუნქტებში ურმებით სიარული და ხანგრძლივი—ლოდინი.

დიდ შეღავათებს აძლევს გლეხობას სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დროს საგლეხო სესხის ობლიგაციების შეძენა. 90 კაპეიკათ შეძენილი ობლიგაციები გადასახადის აკრეფის დროს მიღებულ იქნება მანეთის ანგარიშში. რუსეთში გლეხობა დიდი ხალისით იძენს ამ ობლიგაციებს და ფართოთ სარგებლობს იმ შეღავათებით, რომელსაც ის ანიჭებს გადასახადის აკრეფის დროს. ჩვენშიც უნდა გავაძლიეროთ კამპანია ამ მიმართულებით.

გლეხობამ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის დროს უნდა ისარგებლოს ყველა იმ შეღავათებით, რომელსაც მას ჩვენი კანონმდებლობა ანიჭებს. იმავე დროს მიღებულ უნდა იქნას ზომები, რომ გადასახადის მთელი რაოდენობა, ჩვენი გლეხობის გადახდის უნარიანობასთან შეფარდებული, სავსებით იქნეს აკრეფილი.

გლეხობა დაინტერესებულია ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტის სიმტკიცეში, მის უდეფიციტობაში; სასოფლო-სამეურნეო გადასახადის წარმატებით აკრეფა კი აუცილებელი პირობაა ჩვენი ბიუჯეტის სიმტკიცისთვის. საბჭოთა კავშირის უდეფიციტო ბიუჯეტი თავდებია ჩვენი მრეწველობის და სასოფლო-მეურნეობის აღორძინებისა, რომელიც დიდათ შეუწყობს ხელს ჩვენ გლეხობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ვეცადოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კამპანიის უნაკლოთ და წარმატებით ჩატარებისათვის.

პროფესიონალური მუშაობის წვრილმანები

(დასასრული *)

კარგა ხანია მას აქეთ, რაც დასმული იყო საკითხი სამუშაო ხელფასის სხვადასხვა ანარიცხების აღების შემოკლების შესახებ. უმაღლესი პროფესიონალური ორგანიზაციების დირექტივებით ამ ანარიცხთა რაოდენობა განსაზღვრულია 4-მდე. ე. ი. თითეული მუშა-მოსამსახურის სამუშაო ხელფასიდან არ უნდა იქნას გაღებული სხვადასხვა გადასახადები ოთხ პროცენტზე მეტი. ამ ოთხ პროცენტში შედის კავშირის საწევრო გადასახადი—ორი პროცენტი, ერთი პროცენტი—საურთი-ერთო დამხმარე კასაში შესატანი, და დანარჩენი სხვადასხვა ორგანიზაციების სასარგებლოდ გასაწევ შეწირულებისათვის.

მიუხედავათ ამ დირექტივისა, კიდევ ადგილი აქვს სამუშაო ხელფასზე ოთხ პროცენტზე მეტი სხვადასხვა გადასახადების დადებას. ხანდახან ის აღწევს ათ და მეტ პროცენტს, ეს ფრიად საგრძნობელი ხდება მუშა-მოსამსახურის ისედაც მცირე ბიუჯეტისთვის. ჯამაგირის მიღების დროს მას ზოგჯერ უხდება მხოლოდ ჯამაგირის უწყებაში ხელის მოწერა და ფულს კი არ იღებს. უწყება სავსეა გრაფებით, სადაც აღნიშნულია, რომ დაკავებულია ამდენი და ამდენი პროცენტი ამა და ამ ორგანიზაციის სასარგებლოდ. ამას კიდევ ემატება წვრილ-წვრილად ავანსების მიღება და ჯამაგირის მიღების დროს მომუშავეს აღარაფერი რჩება.

თუ რომელი ორგანიზაციებისათვის ხდება დახმარების გაღება სამუშაო ხელფასიდან, აქ ამას არ ჩამოვთვლით; ვინაიდან ის დაიკავებდა ძალიან დიდ ადგილს (საშეფო, საჰაერო ფლოტის წითელი ჯვრის, ქუჩის ბავშვების დახმარება, უმუშევრების, ინვალიდების, დავრდომილების და სხვა ამგვარი). ცხადია, რომ აქ ჩამოთვლილ მიზნებისათვის დახმარების გაღება ძალიან კარგი საქმეა, მაგრამ უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ამით ძლიერ მცირდება მომუშავის ისედაც მცირე სამუშაო ხელფასი და ის იძულებულია მოიკლოს და რაიმე პირადი აუცილებელი მოთხოვნილება არ დაიკმაყოფილოს.

კიდევ კარგი, რომ ამ შეწირულებებს ჰქონდეს ერთდროული ხასიათი. არ გავა თვე ისე, რომ შეწირულების გაღება არ ხდებოდეს სამუშაო ხელფასიდან. დღეს ერთი ორგანიზაცია ატარებს კამპანიას შეწირულების შესაკრებად და ხვალ მეორე, დასასრული მათ არ უჩანთ.

ვინ და როგორ ატარებს შეწირულების მოგროვების კამპანიას?—პროფესიონალური კავშირის ორგანოები. აქამდე შეწირულების გაღების დადგენილება გამოჰქონდათ საერთო კრებებზე. კავშირის წარმომადგენელს შეჰქონდა წინადადება და კრება ერთხმად იღებდა დადგენილებას. ასეთი წინადადების წინააღმდეგ არც არავინ რამეს ამბობდა და ხმების მიცემის დროსაც თავს არ იკავებდენ. ეს ბუნებრივია, ვინაიდან ყველას ძლიერ უხერხულად მიაჩნია დახმარების გაღების წინააღმდეგ გამოვიდეს.

შემდეგში, რომ შეწირულების გაღებას მისცემოდა პერსონალური ხასიათი, დაიწყეს ხელის მოსაწერ ქაღალდის ჩამოტარება. აქაც ხელის მოწერას კრეფავს კავშირის წარმომადგენელი ან და საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტის წევრი. ხელისმოწერა უმეტეს ნაწილად ხდება მომწერის თანხმობით, მცირეოდენ გამონაკლისთა გარდა, როცა იძულებას აქვს ადგილი. აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება; როცა მომუშავეს მიმართავენ წინადადებით, სურს თუ არა მას შეწირულების გაღება, ის ძალიან უხერხულად გრძნობს თავს. შეიძლება მას გულში უარის თქმა სურდეს და ეზარებოდეს თავის მცირე ჯამაგირის ამ შეწირულებით კიდევ შემცირება, მაგრამ ის ამას ვერ ამხელს და თანხმდება შეწირულების გაღებაზე. ამას ქვიან ნებაყოფლობით შეწირულების შეკრეფა. კავშირებში კიდეც ხმარებაში არის სიტყვები „სტროგო-დობროვოლნო". თუ კარგათ ჩაუკვირდებით, ჩვენ დავინახავთ, რომ აქ ძალიან ცოტა ადგილი აქვს ნებაყოფლობას.

ასეთი კამპანიების ჩატარება და შეწირულების შეკრეფა პროფესიონალურ კავშირებს უკარგავს ღირსებას მუშა-მოსამსახურეთა თვალში. ის ხდება სხვადასხვა გადასახადების შემკრეფ ორგანოთ. გადამეტებული შეწირულებანი უმცირებენ მომუშავეს სამუშაო ხელფასს, რის წინააღმდეგ უნდა მიდიოდეს თვით კავშირი და იცავდეს ხელფასის მთლიანობას.

ამიტომ პროფესიონალური კავშირები შეწირულების მოკრეფის საქმეში უნდა მოიქცენ ძალიან ფრთხილად. მტკიცეთ უნდა იქნეს დაცული უმაღლეს პროფესიონალურ ორგანოების დირექტივა—სამუშაო ხელფასიდან სხვადასხვა გადასახადების გაღების განსაზღვრა ოთხი პროცენტით. საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმაც მიიღო დადგენილება, რომ გადასახადების დადება ხელფასზე არ უნდა აღემატებოდეს სამ პროცენტს (ორი პროცენტი კავშირის საწევრო გადასახადი, ნახევარი—საურთიერთო დამხმარე ფასებისა და დანარჩენი ნახევარი პროცენტი სხვა შემთხვევებისათვის). ეს უნდა იქნეს გატარებული ცხოვრებაში მტკიცეთ.

ტომელი

---

*) იხ. „კომუნისტი" № 165.

შენიშვნები

„ჩვენი ნაკლულევანებანი"

ზევით მოყვანილი სათაურით ჩვენს გაზეთში შემოვიღეთ ახალი განყოფილება, სადაც მოთავსდება კრიტიკული და მამხილებელი მასალა ჩვენი ცხოვრების, და ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობის უარყოფითი მხარეებისა და მოვლენების შესახებ. საბჭოთა დაწესებულებებსა და სამეურნეო ორგანოებში შემჩნეული დეფექტები, მათში მომუშავე პირების, აგრეთვე კერძო მოქალაქეთა ბოროტმოქმედებანი—ყველაფერი ეს უნდა იქნას გამოტანილი დღის სინათლეზე, გამომზეურებული გაზეთის ფურცლებზე, კერძოდ ხსენებულ განყოფილებაში.

ჩვენი მიზანი ამ შემთხვევაში არის—ხელი შევუწყოთ დაწესებულებათა მუშაობის გაჯანსაღებას, მათგან მავნე და გამოუსადეგარ ელემენტების განდევნას, საერთოდ საბჭოთა ხელისუფლების პრინციპების და ღონისძიებათა დაუმახინჯებლად, სისწორით გატარებას ცხოვრებაში.

თავის მოტყუილება იქნებოდა იმის თქმა, რომ თითქო ჩვენს პრაქტიკულ მუშაობას არ ახლდეს არავითარი ნაკლი, თითქო საბჭოთა დაწესებულებებში და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ყველგან და ყოველთვის იდეალურად მიმდინარეობდეს საქმე და იქ თავმოყრილი თანამშრომელნი გამოუკლებლივ ყველანი თავიანთი დანიშნულების სიმაღლეზე იდგნენ. არა. ნაკლულევანებსაც აქვთ ადგილი, დაწესებულებებშიც ზოგან შეპარული არიან ისეთი ელემენტები, რომელთათვის უცხოა საბჭოთა ხელისუფლების ბუნება და მუშათა კლასის ინტერესები და რომელთაც თავიანთი ბიუროკრატიზმით, ხშირად ბოროტ-მოქმედებით, ბნელი კომბინაციებით საგრძნობი ზიანი მოაქვთ მუშურ-გლეხური რეჟიმისათვის, საბჭოთა აღმშენებლობისათვის.

დაუნდობელი ბრძოლა ასეთ პირებთან, საბჭოთა ხელისუფლების ბუნების გადამახინჯების ყოველგვარ ცდასთან, მითითება ჩვენი დაწესებულებების მუშაობაში შემჩნეულ ნაკლულევანებებზე და შეცდომებზე,—ეს შეადგენს საბჭოთა პრესის ერთ ძირითად ამოცანათაგანს.

ამ ამოცანის განხორციელებას გაზ. „კომუნისტი" გუშინ და დღეს არ შესდგომია. თავის არსებობის პირველ დღეებიდანვე გაზეთი ცდილობდა „ჩვენი ნაკლულევანებათა" გამომჟღავნებას, ამ გზით საბჭოთა აპარატის და სამეურნეო ორგანოების გაცხრილვას არასაიმედო ელემენტებისაგან, მმართვა-გამგეობის და აღმშენებლობითი მუშაობის გაჯანსაღებას.

ჩვენს გაზეთში მრავალი ასეთი ხასიათის მასალა ყოფილა მოთავსებული. ამას მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგებიც მოჰყოლია.

მაგრამ უნდა ითქვას მაინც, რომ ამ მხრივ უფრო მეტია გასაკეთებელი, ვინემ ეს დღემდე იყო. მამხილებელ მასალას ამიერიდან ჩვენ გაცილებით მეტ ადგილს დაუთმობთ. სწორედ ამისათვის გავხსენით გაზეთში ცალკე განყოფილება: „ჩვენი ნაკლულევანებანი", რათა ერთად თავმოყრილ მასალაზე შევაჩეროთ მშრომელი მასსის და ხელისუფლების ყურადღება ამ „ნაკლულევანებათა" აღმოსაფხვრელად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვით იდეა ასეთი სათაურით განყოფილების შემოღებისა წამოაყენა ამხ. ს. **ორჯონიკიძემ** (იხ. „კომუნისტი"-ს საიუბილეო, მეათასე №).

ჩვენ ვგრძნობთ, რომ გაზეთში კრიტიკულ-მამხილებელ ნაწილის კარგად დაყენება დიდად საპასუხისმგებლო საქმეა. მას თან სდევს ზოგიერთი საფრთხე.

პირველ ყოვლისა გაზეთი არ უნდა დაეშვას უმნიშვნელო წვრილმანების, სენსაციების, ქუჩური ჭორების გამავრცელებელ ფურცლის დონემდე. ასეთი გაზეთი ალბად დიდ გასავალს იპოვის ცნობისმოყვარე და უსაქმურ „ობივატელურ" მასსაში, მაგრამ პარტიულ საბჭოთა ორგანო ამ გზით, რა თქმა უნდა, ვერ ივლის.

აგრეთვე მოსალოდნელია, რომ ზოგიერთები შეეცდებიან გაზეთის ფურცლები გამოიყენონ ვინმესთან პირადი, კერძო ანგარიშების გასასწორებლად. გაზეთს მმართებს განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა, რომ ის არ გადაიქცეს კერძო ინტერესების გასწორების იარაღად.

შემდეგ: ისიც წარმოსადგენია, რომ ზოგიერთი ელემენტები შეეცდებიან კრიტიკის და მხილების იარაღი გამოიყენონ არსებული წყობილებისათვის ძირის გამოსათხრელად. ჩვენ ასეთ პირებს გაზეთის ახლოსაც არ გავაჭაჭანებთ.

ჩვენი კრიტიკა და მხილება, თავისთავად იგულისხმება, იქნება მხოლოდ საქმიანი ხასიათის და მიზნად დაისახავს მუშურ-გლეხური რეჟიმის უფრო განმტკიცება-გაჯანსაღებას.

ამ პრინციპებით ვხელმძღვანელობდით ჩვენ ყოველთვის, ამ გზას არ გადაუხვევთ შემდეგშიაც.

აქედან ცხადია, თუ რა პასუხისმგებლობა აწევს მამხილებელ მასალის გამოქვეყნების დროს რედაქციას, აგრეთვე იმ პირებს, რომელნიც ასეთ მასალას მოგვაწოდებენ.

ყოველგვარი მამხილებელი ცნობა და წერილი უნდა იყოს ურყევ ფაქტებზე დამყარებული და მათ ავტორთ მხოლოდ ცხოვრების გაჯანსაღების, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების მოტივები უნდა ასულდგმულებდნენ.

ბოლოს ჩვენ გვინდა ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებას. გაზეთში მოთავსებულ მამხილებელმა მასალამ დაუყოვნებლივი გამოხმაურება უნდა ჰპოვოს იმ ორგანოების და პირების მხრივ, რომელთა საყურადღებოდ ის თავსდება, პირველ ყოვლისა კი—მუშათა და გლეხთა ინსპექციის და პროკურატურის მხრივ.

ჩვენი გაზეთი მხოლოდ მაშინ შესძლებს „ჩვენი ნაკლულევანებათა" კრიტიკა-მხილების დარგში თავის მოვალეობის სავსებით შესრულებას, როცა მას აქტიურად დაეხმარებიან მისი თანამშრომლები, პირველ რიგში მუშა და პროვინციელი კორესპონდენტები, და სათანადო ორგანოები.

გ. ქ.

ამერიკის კაპიტალი ევროპაში

ბანკირები საფრანგეთისაგან აბსოლიუტურ გარანტიებს მოითხოვენ

ბანკირებმა უარყვეს ბელგიის პრემიერის კომპრომისული წინადადება

გერმანიას კონფერენციაზე მომავალ კვირაში მიიწვევენ

საფრანგეთის მემარჯვენე გაზეთები ურჩევენ ერრიოს არავითარ დათმობაზე არ წავიდეს

შესდგა დელეგაციების მეთაურების თათბირი ბანკირების პირობების განსახილველად

აშკარად მოქმედებენ

ნიუ-იორკი. 24 ივლისი. ამერიკელი გაზეთები კომენტარიებს უკეთებენ რა ლონდონის კონფერენციის მუშაობას, აშკარად აცხადებს, რომ ლონდონში მყოფი ამერიკელი ფინანსისტები შეასრულებენ მთავარ როლს საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის დროს. კონსერვატიულ რესპუბლიკანელების ორგანო „ნიუ-იორკ ივნინგ პოსტი" ამბობს: „მსოფლიო ფინანსების წარმომადგენლები, რომლებიც წარმოადგენენ მომქმედ ძალას საერთაშორისო საქმეებში, მოითხოვენ თავიანთ „რწმუნების ბარათების" წარდგენის უფლებას. **„ფინანსისტები განაგრძობს გაზეთი, ყოველთვის განაგებდენ პოლიტიკურ საქმეებს, მაგრამ წინად მოქმედებდენ კულისებში, ხოლო დღეს აშკარად უკარნახებენ კონფერენციას, ვინაიდან პოლიტიკოსები უძლურნი აღმოჩნდენ".**

ბანკირების პირობები

ნიუ-იორკი, 24 ივლისი. მხარს უჭერს რა ამერიკელ-ფინანსისტების მოთხოვნილებას მოკავშირეთა კონფერენციაზე, ნიუ-იორკის ბირჟის ორგანო „ჟორნალ ოფ კომმერს"-ი აცხადებს: **ამერიკელი ფინანსისტები ხელს არ მოაწერენ გერმანიის სესხზე, თუ არ იქნებიან დარწმუნებული იმაში, რომ ამერიკის მთავრობა მხარს დაუჭერს მათ მოთხოვნილებას სარეპარაციო კამისიაში მათი წარმომადგენლის დაშვების შესახებ.**

„ნიუ-იორკ უორლდი" თავის მხრივ აცხადებს, რომ **თუ ჯერ არ იქნება გარანტიები იმისა, რომ საფრანგეთი გერმანიის მიმართ რეპრესიულ ზომებს არ მიმართავს, ინგლისის და ამერიკის ფინანსისტები ხელს არ მოაწერენ გერმანიის სესხზე**

ბანკირები არ თმობენ.

ნაუენი, 25 ივლისი. ამერიკის და ინგლისის ბანკირებმაც უარყვეს აგრეთვე მეორე კომპრომისი, რომელიც წამოყენებული იყო ტენისის მიერ. ტენისის კომპრომისი გულისხმობს კომისიის დაარსებას ექსპერტთა კომისიის ხუთი წევრისაგან, იმ მიზნით, რომ ამ კომისიამ სარეპარაციო კომისიას უნდა წარუდგინოს ის სანქციები, რომლებიც უნდა დაეკისროს გერმანიას იმ შემთხვევაში, თუ ის არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს. ამრიგათ, შეუსრულებლობის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა, ამ კომპრომისის თანახმათ, რჩებოდა სარეპარაციო კომისიის ხელში. **ბანკირებმა უარყვეს ეს კომპრომისი და კატეგორიულათ განაცხადეს, რომ სარეპარაციო კომისია არავითარი ნდობით და კრედიტით არ სარგებლობს სესხის ობლიგაციების მომავალ მეპატრონეთა შორის და, ამიტომ, მას არ შეიძლება მიენდოს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა, როგორიც არის საკითხი გერმანიის მიერ თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ.**

ვერ შეთანხმდენ

ნაუენი. 25 ივლისი. კონფერენციის პლენალურ სხდომაზე მიღწეული არ ყოფილა დიდი შედეგები. მოხსენება წარადგინა მხოლოდ ერთმა კომისიამ, დანარჩენ კომისიებს ჯერ არ მიუღწევიათ შეთანხმებისათვის, ახლად შექმნილ იურიდიულ კომისიას დაევალა განიხილოს ის საკითხები. რომლებიც წამოიჭრენ კონფერენციაზე; ამ კომისიამ ეს საკითხები უნდა შეუთანხმოს ვერსალის ხელშეკრულებას.

ბანკირებსა, ფინანსთა მინისტრებსა და პრემიერებს შორის გამართული იყო მთელი რიგი თათბირები, რომლებზედაც განხილული იყო საკითხები გერმანიის მიერ თავის ვალდებულებათა შეუსრულებლობისა, სანქციებისა და აგრეთვე გერმანიის სესხის გარანტიების შესახებ. **აქამდი არავითარი დადებითი შედეგები არ არის მიღწეული.**

პრემიერების თათბირი

ლონდონი. 25 ივლისი. ერრიოსა, მაკდონალდსა, ტენისსა და სტეფანის შორის მოხდა თათბირი. საკითხი დამატებითი გარანტიების შესახებ, რომლებსაც მოითხოვენ ბანკირები, თათბირზე განხილული არ ყოფილა. განხილული იყო ის ღონისძიებები, რომლებიც მიღებული უნდა იქნენ მის შემდეგ, როდესაც ახლათ შექმნილი იურიდიული კომისია გამოარკვევს იმას, თუ რამდენათ განსხვავდება დოუესის გეგმა ვერსალის ხელშეკრულებისაგან და საჭირო იქნება თუ არა გერმანიის დელეგაციის მოწვევა.

პუანკარეს წერილი

პარიზი. 25 ივლისი. პუანკარემ „დეილი მეილ"-ში გამოაქვეყნა წერილი შემდეგი სათაურით: „რატომ უნდა იხადოს კონტრიბუცია გერმანიამ". პუანკარე ამ წერილში ამბობს: **„თუ სამართლიანობა არ მოითხოვს იმას, რომ გერმანიამ იხადოს, ამას მოითხოვს მოკავშირეების ინტერესები. თუ გერმანია არ შეასრულებს მინიმალურ მოთხოვნილებებს, რომლებსაც მას უყენებს დოუესის გეგმა, ამით ის საფრანგეთს და ინგლისს განდევნის საერთაშორისო ეკონომიურ ბაზრიდან".**

საფრანგეთი არ დასთმობს

პარიზი. 25 ივლ. „პტი ჟურნალი" ამბობს: „ლონდონის კონფერენციის მოწვევამდე საფრანგეთი არასოდეს არ სცდილობდა ანგარიში გაეწია მოკავშირეთა სიძნელეთათვის. საფრანგეთის დელეგაცია ყოველ ძალღონეს ხმარობს გაიგოს ბრიტანეთის მთავრობის და ბანკირების ყველა სურვილები და ის მოითხოვს ვერსალის ხელშეკრულებით მინიჭებულ უფლებების დაცვას.

„ჟურნალი" აფასებს შექმნილ მდგომარეობას და ამბობს, რომ **კონფერენცია ამ ჟამად ერთ წერტილზე გაიყინა.** საუკეთესო საშუალებად გაზეთი სთვლის მოთმინებას. გაზეთის აზრით საფრანგეთის პოზიცია სავსებით ნათელი და გარკვეულია. სავსებით ცხადია აგრეთვე, რომ ბანკირებს აქვთ უფლებები ყველა ფინანსიურ გარანტიებზე; მაგრამ **სავსებით დაუშვებელია რაიმე პოლიტიკური გარანტიები.**

„ეკო დეპარი" ამბობს: „როგორც სჩანს ბანკირები მტკიცეთ იცავენ თავის პოზიციას და მიუღებლად მიაჩნიათ ტენისის ახალი ფორმულა".

გერმანიის მიწვევის საკითხი

რომი. 25 ივლისი. კონფერენციის პლენარულ სხდომაზე მაკდონალდმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის დელეგაციაში მიღებული არიან კიდევ ერთი წარმომადგენელი ახალშენებიდან და ერთი წარმომადგენელი ინდოეთიდან. ახალშენებიდან პირველ წარმომადგენლად, რომელიც მონაწილეობას იღებდა კონფერენციის მუშაობაში, იყო სინატორი ბალკური.

მაკდონალდის განცხადების შემდეგ, ერრიომ თავის და მაკდონალდის სახელით წინადადება შეიტანა განსაკუთრებული კომისიის დანიშვნის შესახებ იურისტებისაგან, **რომელმაც უნდა გადაწყვიტოს საკითხი გერმანიის მოწვევის შესახებ კონფერენციაზე.** ამ კომისიაში შევიდა ორი იურისტი; საფრანგეთიდან—ფრომაჟო და ინგლისიდან—ხერსტი.

ლონდონში ფიქრობენ, რომ **გერმანია მიწვეული იქნება კონფერენციაზე მომავალი კვირის დასაწყისში.** ფიქრობენ აგრეთვე, რომ კონფერენციის მუშაობა გაგრძელდება კიდევ ორ კვირას.

ამერიკის ელჩი ბერლინში **ხაუტონი,** რომელიც ამჟამად ამერიკის მეთვალყურედ არის დანიშნული ლონდონის კონფერენციაზე, **დღეს ან** ხვალ უნდა გაემგზავროს ბერლინში გერმანიის მთავრობასთან სათათბიროთ. შემდეგ ხაუტონი დაბრუნდება ლონდონში გერმანიის დელეგაციასთან ერთად, როგორც კი მიიღებს გერმანიის მთავრობა ოფიციალურ მიწვევის ბარათს კონფერენციაზე.

კომისიებში

პარიზი, 25 ივლისი. კონფერენციის პლენარული სხდომა გადაწყდა, რომ პირველი კომისიის მოხსენება განხილული იქნება მის შემდეგ, როდესაც მეორე და მესამე კომისია დაამთავრებენ თავის მუშაობას.

ლონდონი, 25 ივლისი. კონფერენციამ მოიწონა სნოუდენის მოხსენება პირველი კომისიის მუშაობის შესახებ. ნატურით მიწოდებების საკითხის განხილვის დროს იტალიის დელეგატმა განაცხადა, რომ ამ საკითხის სწორათ გადაწყვეტაში ყველაზე უფრო დაინტერესებულია იტალია. ეს განცხადება კონფერენციის მიერ მიღებული იქნა მხედველობაში.

დასასრულ კონფერენციამ დაადგინა წინადადება მისცეს კომისიებს განაგრძონ მუშაობა.

გერმანიას მონობას უმზადებენ

„სახელმწიფო საიდუმლოება"

ბერლინი. 24 ივლისი. გერმანიის კომპარტიის ორგანომ „როტე ფანე"-მ გამოაქვეყნა „გერმანიის რკინისგზების მმართველობის შერეული საზოგადოების" წესდება. წესდების ტექსტში შეტანილია სარკინისგზო კანონპროექტი, რომელიც შეტანილი იყო რეიხსტაგში დოუესის გეგმის გამო. არჩევს რა დაწვრილებით წესდების ტექსტს, „როტე ფანე" შემდეგ დასკვნამდი მიდის: **1) რკინისგზის** მუშები და აგრეთვე, რკინისგზის **დაბალი და საშუალო მოსამსახურეები ამიერიდან აღარ ითვლებიან სახელმწიფო სამსახურში და მათი ბედი დამოკიდებულია მოკავშირეთა კომისრებისაგან,** 2) მოკავშირეთა სახელმწიფოების მიერ **გერმანიის რკინისგზებზე დანიშნულ კომისარს უფლება აქვს გაყიდოს მოძრავი შემადგენლობა;** 3) პროცენტების დასაფარავად **საჭირო დიდი თანხები შეიძლება გამონახული იქნეს მხოლოდ დაბალი შრომის ხელფასის დაწესებისა და სამგზავრო და საბარგო ტარიფების გადიდების გზით; 4) იმის გამო, რომ მოკავშირეთა კომისარს უფლება ეძლევა მოითხოვოს სტატისტიკური ცნობები და გაატაროს ყოველგვარი ღონისძიებები—ყველაფერი ეს გერმანიის სახელმწიფო მეურნეობას აქცევს მისი კონტროლის ქვეშ, რაც ნიშნავს გერმანიის დამოუკიდებელი როლის დასასრულს საერთაშორისო მეურნეობაში.**

პროკურორი გაზეთს ემუქრება პასუხისგებაში მიცემით რკინისგზის ახალი წესდების გამოქვეყნებისათვის; პროკურორის აზრით, ეს წესდება ჯერჯერობით სახელმწიფო საიდუმლოებას შეადგენს. „ლოკალ ანცეიგერ"-ი და „ფორვერტს"-ი პროტესტს აცხადებენ გაზეთის პასუხისგებაში მიცემის წინააღმდეგ; ისინი ამბობენ, რომ „როტე ფანე"-ს მოქმედება არ არის სახელმწიფო ღალატი.

პოლონეთის ამბები

პოლონეთის ციხეების საშინელებანი.

ვარშავა, 24 ივნ. სეიმის თავმჯდომარემ რატაიმ უარი სთქვა მიეღო უკრაინის დეპუტატის პრისტუპის შეკითხვა პოლიტიკურ პატიმრების ტანჯვა-წამების შესახებ განაპირა კუთხეების ციხეებში. შეკითხვაში მოთხრობილია პატიმართა საშინელი მდგრმარეობა ლვოვის, კოველის, ლუცკის და როვენის ციხეებში.

მოკოტოვის ციხეში ვარშავაში **პოლიციამ სცემა პოლიტიკურ პატიმრებს, რომლებიც შეეცადენ ხელი შეეშალათ ზოგიერთი ამხანაგების პროვინციალურ ციხეებში გადაყვანისათვის, სადაც რეჟიმი გაცილებით უარესია, ვიდრე ვარშავაში.** უკანასკნელმა ამბავმა ყველა დანარჩენ ძალადობასთან ერთად, რომელსაც მიმართავენ პოლიტიკურ პატიმრების წინააღმდეგ, **პოლიტიკურ ტუსალთა სიმშილობა გამოიწვია ვარშავის ცენტრალურ ციხეში.**

სილეზიის მუშების ბრძოლა.

ვარშავა. 24 ივლ. **ზემო სილეზიაში გაიმართა მთელი რიგი საპროტესტო მიტინგები 10 საათის სამუშაო დღის შემოღების წინააღმდეგ.** ზემო სილეზიის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების კონგრესი, რომელიც დანიშნული იყო 20 ივლისისათვის, არ შესდგა კონგრესის აკრძალვის გამო პოლიციის მიერ.

შეთანხმებელთა პროვოკაცია.

ვარშავა. 24 ივლისი. აშკარა გამარჯვებამ, რომელსაც მიაღწია კომუნისტების აგიტაციამ ლოძში, შეაშინა პოლონეთის სოციალისტური პარტია; ამ უკანასკნელმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელიც სიძულვილით არის გაჟღენთილი კომუნისტების მიმართ. „თვითეული ხმა, რომელსაც მისცემენ კომუნისტებს ქალაქის საბჭოებში, საავადმყოფო კასებში და პროფკავშირებში—ნათქვამია მოწოდებაში,—ხელს უწყობს ომს, სიღატაკეს და რეაქციას.

„თვითეული, რომელიც მუშებთან მიდის საბჭოთა პოლონეთის ლოზუნგით—ნათქვამია შემდეგ—ბოლშევიკების აგენტია".

ეკონომიური კრიზისი.

ვარშავა, 24 ივლისი. ტუგუტმა გამოაქვეყნა ჟურნალ „ვიზვოლენიეში" წერილი, რომელიც ასაბუთებს მის თანხმობას გარეშე საქმეთა მინისტრის პორტფელის მიღებაზე, პოლონეთის განსაკუთრებული მდგომარეობით „პოლონეთი—ამბობს ტუგუტი,—იმყოფება ისეთ მძიმე მდგომარეობაში, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია ვარშავაზე ბოლშევიკების გალაშქრების მომენტიდან. ვალიუტის გაჯანსაღება ჯერ საბოლოოდ არ არის მიღწეული, **სამეურნეო მდგომარეობა დღითი-დღე უარესდება, გლეხები სიმშილისაგან იხოცებიან, უმუშევრობა იზრდება.** თავდაცვის კავშირები, რომლებიც წინად ერთგვარ უშიშროების გარანტიას აძლევდენ პოლონეთს, ყოველ წუთს მოსპობა მოელით. **განაპირა კუთხეებში მოსალოდნელია შეიარაღებული აჯანყება.** პოლონეთით დაინტერესებული არიან მხოლოდ ბოლშევიკები, რომელთა აგიტაცია ფეხს იკიდებს მასების გაღატაკების და მთავრობის უძლურების გამო.

10 საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ.

ვარშავა, 24 ივლისი. ზემო-სილეზიაში 10 საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გაფიცული არიან ცინკის ყველა ქარხნები და ზოგიერთი ფოლადის და რკინის ჩამომსხმელი ქარხნები. სამთომადნო და მელითონეთა კავშირებმა გამოიტანეს საპროტესტო რეზოლიუცია. „რეჩ პოსპოლიტა" აღნიშნავს, რომ სამუშაო დღის გაგრძელება არის...

აჯანყება ბრაზილიაში

რომი, 25 ივლისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, **რევოლიციონერები სცდილობენ მოლაპარაკება გამართონ მთავრობასთან დროებითი ზავის ჩამოგდების შესახებ.** მაგრამ მათ განუცხადეს, რომ რაიმე მოლაპარაკების დაწყებამდე რევოლიუციონერები უსათუოთ უნდა დაემორჩილონ ბრაზილიის მთავრობას. სან-პაბლოდან მიღებულ სხვა ცნობების თანახმად, ადგილობრივ სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ იკისრა შუამავლობა რევოლიციონერებსა და მთავრობის შორის დაწყებულ მოლაპარაკების დროს. ფიქრობენ, რომ ბრაზილიის მთავრობის პასუხი აუცილებელ დამორჩილების შესახებ ხელს შეუწყობს მხოლოდ სამოქალაქო ომის გაგრძელებას. **რიო-დე-ჟანეიროდან ვაშინგტონში მიღებულ ოფიციალურ ცნობების თანახმად, სან-პაბლოდან გაიქცა 2.000 მცხოვრები. იმავე ცნობის თანახმად, სან-პაბლოს დაშენის დროს დაიღუპა დაახლოვებით 3.000 მოქალაქე და ჯარისკაცი.**

ბრძოლა სან-პაბლოსთან.

პარიზი, 25 ივლისი. ნიუ-იორკიდან მიღებული ცნობებით, სან-პაბლოში გამაგრებულ აჯანყებულების წინააღმდეგ მომქმედი მთავრობის ჯარი 20.000 კაცისაგან შესდგება.

უკანასკნელი ცნობები

ამხ. კარახანის ნოტა ჩინეთის მთავრობისადმი.

პეკინი. 25 ივლისი. ამხ. კარახანმა ჩინეთის მთავრობას გაუგზავნა ნოტა საბჭოთა მთავრობისათვის შანხაის ნავსადგურში მყოფ რუსეთის კუთვნილი გემების—„მონღოლეთი“-ს, „ელდორადო“-ს, „ოხოტსკ“-ის და „ზამჩიტნიკ“-ის გადაცემის შესახებ.

ჩინეთის მთავრობამ უპასუხა კარახანს, რომ შეუძლებელია გემების გადაცემა გემზე მყოფ 600 შეიარაღებულ კაცთან—მეზღვაურებთან და ოფიცრებთან წინასწარ მოულაპარაკებლად, ვინაიდან იმ შემთხვევაში, თუ წარმომადგენლობა შეეცადა გემების დაპატრონებას, მოსალოდნელია მათთან შეტაკება, რაც საშიშროებას ქმნის ქალაქისათვის.

ამხ. კარახანი გაკვირვებას გამოსთქვამს ასეთი პასუხის გამო და სწერს: „თუმცა საკითხი გემების გადაცემის შესახებ დიდი ხანია იყო აღძრული, ჩინეთის მთავრობამ დღემდი არ მიიღო ამისათვის საჭირო ზომები და მხოლოდ ახლა იუწყება გემების გადაცემის შეუძლებლობის შესახებ. ჩინეთის მთავრობას ჩვენთან შეთანხმების ძალით არ უნდა დაეშვა არავითარი შეიარაღებული ბანდა თავის ტერიტორიაზე. ამის გამო მე მოვითხოვ ბანდის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას და განიარაღებას.

საბჭოთა მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ ჩინეთის მთავრობას საკმაო ძალა მოეპოება გემების გადასაცემათ კანონიერი პატრონისათვის. საბჭოთა მთავრობას არ სურს აღძრას საკითხი ჩინეთის ტერიტორიაზე შეიარაღებული ბანდის წითელი არმიის ძალებით ლიკვიდაციის შესახებ და არჩევს, რომ ჩინეთის ტერიტორიაზე მისი ინტერესები დაცული იქნას ჩინეთისავე სამხედრო და სამოქალაქო ძალებით“.

ამიტომ საბჭოთა ელჩი მოითხოვს ჩინეთის მთავრობისაგან, რომ გაცემული იქნეს სასწრაფო განკარგულება ბანდის ლიკვიდაციის შესახებ. პასუხისმგებლობას მოსალოდნელი შედეგებისათვის ამხ. კარახანი აკისრებს ჩინეთის მთავრობას.

დასასრულ ამხ. კარახანი ამბობს: „თუ ჩინეთის მთავრობა განიარაღებს ბანდას, საბჭოთა მთავრობას არაფერი არ ექნება საწინააღმდეგო, რომ ისინი გადმოგზავნილი იქნენ საბჭოთა ტერიტორიაზე“.

იაპონია იხილავს ჩვენი ცნობის საკითხს.

ბერლინი. 25 ივლ. რეიტერის სააგენტოს მიერ ტოკიოდან მიღებული ცნობებით, იაპონიის მთავრობა სერიოზულათ იხილავს საბჭოთა მთავრობის მოკლე ხანში იურიდიულათ ცნობის საკითხს.

ინგლისი და საბჭოთა კავშირი.

ლონდონი. 25 ივლ. თემთა პალატაში საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგს პონსონბის შეკითხვა მისცეს: როგორ მიმდინარეობს მოლაპარაკება საბჭოთა დელეგაციასთან და მიეცემა თუ არა საბჭოთა მთავრობას ფინანსიური დახმარება პარლამენტის მიერ ამ საკითხის წინასწარ განხილვამდი. პონსონბიმ განაცხადა, რომ პარლამენტის გაშვებამდე მთავრობა მოხსენებას გააკეთებს ამ საკითხის შესახებ და რომ არავითარი ხელშეკრულება არ იქნება ხელმოწერილი, სანამ კონფერენციის შედეგებს არ გაეცნობა პარლამენტი.

შაურიანების დაკვეთა ინგლისში.

ლონდონი. 25 ივლ. თემთა პალატაში შეკითხვებზე პასუხის გაცემის დროს, ფინანსთა მინისტრმა სნოუდენმა განაცხადა, რომ ლონდონის ფულების ქარხანამ ხელშეკრულება დასდო საბჭოთა მთავრობასთან 40.000.000 შაურიანის დამზადებაზე.

მოკავშირეთა კონფერენციაზე

მეორე პლენარული სხდომა გადაიდო.

ბერლინი. 25 ივლისი. ლონდონში ფიქრობენ, რომ მეორე პლენარული სხდომა საეჭვოა, რომ მომავალ კვირამდე შესდგეს. კონფერენციაზე გერმანიის მიწვევის საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა.

აგვისტომდი.

ლონდონი. 25 ივლისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, საეჭვოა, რომ კონფერენცია აგვისტომდი დამთავრდეს.

უთმობენ ფრანგებს?

ბერლინი. 25 ივლისი. ზოგიერთი ცნობებით, ინგლისელებს განზრახვა აქვთ დასთანხმდენ რურის ოლქში 1500 ფრანგი რკინისგზელის დატოვებაზე.

ბანკირების ოპტიმიზმი.

ბერლინი. 25 ივლისი. ნიუ-იორკის ფინანსისტები დიდის ინტერესით ადევნებენ თვალყურს მოკავშირეთა კონფერენციის მუშაობას და დარწმუნებული არიან, რომ ყველა დაბრკოლებები დაძლეული იქნება და მიღწეული იქნება შეთანხმება.

„ბრძნული“ რჩევა

ბერლინი. 25 ივლისი. საფრანგეთის საგარეო საქმეთა ოფიციოზი ცნობილი ერბეტი ურჩევს საფრანგეთს, ინგლისს და გერმანიას ხელი მოაწერონ შემდეგ შეთანხმებას: „ჩვენ გვსურს ზავი და მშვიდობიანობა. არ გადავდგამთ ისეთს ნაბიჯს, რომელიც ხელს შეუშლის ამას“.

პუანკარეს წერილი.

პარიზი, 25 ივლისი. თავის წერილს (იხ. დღევანდელი დეპეშები) „დეილი მეილ“-ში პუანკარე შემდეგი სიტყვებით ათავებს: „თუ გერმანიას საშუალება მიეცემა წაგვლიჯოს ჩვენ რაიმე, ჩქარა ჩვენ ინგლისელებთან ერთად არაფერი დაგვრჩება გარდა იმისა, რომ ცრემლი ვღვაროთ ნანგრევებზე იმ დროს, როცა გალაღებული მოვალე ხარხარს დაიწყებს“.

მუსოლინის სამეფოში

მუსოლინის ოპტიმიზმი.

რომი. 24 ივლ. სამშაბათს გაიმართა დიდ ფაშისტურ საბჭოს ივლისის სესიის პირველი კრება, რომელზედაც მუსოლინიმ გააკეთა მოხსენება საერთო პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ. მუსოლინიმ განაცხადა, რომ ფაშიზმის მდგომარეობა ურყევია და რომ ანტიფაშისტური ვოტუმი პარლამენტში შეუძლებელია. მემარჯვენე ლიბერალები მეგობრულად არიან განწყობილნი მთავრობისადმი და ასევე მეგობრულად მოეპყრობა მათ მთავრობა. ნაციონალური ე. ი. ფაშისტურ მილიციის შესახებ მუსოლინიმ განაცხადა, რომ მას ძველებურად უნდა ჰქონდეს „ფაშისტურ რევოლიუციის უძლეველ და ერთგული მუშაობის“ ხასიათი. ანალიზი გაუკეთა რა ფაშისტურ პარტიაში მომხდარ განხეთქილებას, მუსოლინიმ განაცხადა, რომ ეროვნულმა საბჭომ უნდა მისცეს პარტიის ახალი ხელმძღვანელები, რომლებმაც მეტი სიწმინდე და აქტიურობა უნდა შეიტანონ პარტიაში. შემდეგ მუსოლინიმ განაცხადა, რომ ფაშისტურმა სინდიკატებმა სიკეთე უნდა მოუტანონ მუშებს და ამიტომ საჭიროა მათთვის ხელისშეწყობა. ბოლოს მუსოლინიმ აღნიშნა, რომ ფაშიზმს არ შეუძლია უკან დახევა, იგი უნდა წავიდეს წინ თავის ლოღიკურ განვითარების გზით“.

მუსოლინის ფრთხილობა.

რომი, 24 ივლისი. ლიბერალური ჯგუფები განაგრძობენ კამპანიას მთავრობის წინააღმდეგ და მოითხოვენ პოლიტიკურ კურსის შეცვლას; მათ შეუძლიათ არაპირდაპირი დახმარება გაუწიონ რევოლიუციონურ მიმდინარეობას. მუსოლინი, როგორც ჩანს იმედს ამყარებს იმ მუშათა წრეებში, რომლებსაც საბოლოოდ არ დაუკარგავთ იმედი ფაშიზმისადმი. ტურინის მუშათა მიღების დროს მუსოლინიმ განაცხადა: „ბურჟუაზიამ ვერ გაამართლა მასზე დამყარებული იმედები. ფაშისტურმა მთავრობამ უზრუნველჰყო მრეწველებისათვის 2 წლის მშვიდობიანი მუშაობა და საშვალება მისცა მათ განავითარონ წარმოება და მიიღონ დიდი მოგება. მაგრამ მრეწველებმა არ გააუმჯობესეს მუშების მდგომარეობა. თუ ისინი უარს იტყვიან მუშებთან თანამშრომლობაზე, საჭირო იქნება სულ სხვა ზომების მიღება. მუშებმა დამოუკიდებლად უნდა იმოქმედონ. მუსოლინიმ გააკრიტიკა ლიბერალური ბურჟუაზიაც. მუსოლინის სიტყვას სთვლიან ცდათ **გავლენა მოახდინოს ლიბერალურ ბურჟუაზიაზე.**

ოპოზიციონური „მონდო“ სწერს, რომ მუსოლინის სიტყვა მოწმობს იმაზე, რომ ფაშისტურ სინდიკალიზმს დიდი დეფიციტი მოუვიდა თავის არსებობის ორი წლის განმავლობაში. ამ სიტყვაში, ამბობს გაზეთი, აღიარებულია, რომ სახელმწიფო ბურჟუაზიის ხელში ითვლება პროლეტარიატთან ბრძოლის იარაღად.

ფაშისტების ორგანიზაცია.

რომი, 24 ივლისი. ფაშისტების უმაღლესმა საბჭომ დაადგინა: ახალი ფაშისტური დირექტორია უნდა აირჩიოს ფაშისტების ნაციონალურმა საბჭომ; დირექტორია შესდგება 15 წევრისაგან; აქედან 5 წევრი შეადგენენ აღმასრულებელ კომისიას, რომელიც მუდმივად რომში იმყოფება.

სხვადასხვა ამბები

— **საჰაერო პოლიცია.** ნიუ-იორკში დაარსდა საჰაერო პოლიცია. საჰაერო პოლიციის განკარგულებაშია 16 აეროპლანი.

— **ფაშიზმის წინააღმდეგ.** ლიბერალური პარტიებმა იტალიაში შეადგინეს თავდაცვის კომიტეტი ფაშიზმთან ბრძოლის მიზნით.

— **ნორვეგიის მთავრობის გადადგომა.** ნორვეგიის მეფემ მიიღო მთავრობის გადადგომა და ახალი კაბინეტის შედგენა დაავალა პარლამენტის მემარჯვენე ფრთის ლიდერს მევინკელს.

— **სამხრეთ-აფრიკის პარლამენტი.** სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკის პარლამენტი გაიხსნება 28 ივლისს. იმავე დილას არჩეული იქნება პარლამენტის თავმჯდომარე.

— **ახალი მთავრობა საბერძნეთში.** ახალი მთავრობის შედგენა დაევალა სოფულისს. საგარეო საქმეთა მინისტრი იქნება რუსსოსი, სამხედრო—კატეკატის. პოლიტიკური წრეები კმაყოფილებას გამოსთქვამენ. ახალი მთავრობა პარლამენტს 28 ივლისს წარუდგება.

— **წყალდიდობა ინდოეთში.** ინდოეთში დიდი წყალდიდობაა. მდინარეებმა ნაპირები გადმოხეთქა და აუარებელი ზარალი მიაყენა მოსახლეობას.

კომუნისტური ახალგაზრდობის ინტერნაციონალის კონგრესი

ამხ. ციტლინის მოხსენება

მოსკოვი. 25 ივლისი. ახალგაზრდობის კომინტერნის კონგრესის 23 ივლისის სხდომაზე ამხ. **ციტლინმა** გააკეთა მოხსენება მოწინააღმდეგის ორგანიზაციაში მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, როდესაც ამ საკითხს უდგებით, საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ 3 მომენტი: პოლიტიკური, ამა თუ იმ ორგანიზაციის ახალგაზრდობის სექციის განვითარება და ამა თუ იმ კავშირის ბოლშევიზაცია. არ შეიძლება ძლიერი კომუნისტური ორგანიზაციის შექმნა, თუ არ ვაწარმოებთ სასტიკი ბრძოლა რეფორმისტულ კავშირების წინააღმდეგ. მთავარი ამოცანაა გადავაქციოთ ახალგაზრდობის კომინტერნი მუშათა ახალგაზრდობის ერთად-ერთ წინამძღოლად.

ამხ. ტარხანოვმა გააკეთა მოხსენება ლენინიზმის პროპაგანდის შესახებ და ხაზი გაუსვა, რომ ლენინიზმის შესწავლას ყველა სექციებმა უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება. მაგრამ ლენინიზმის შესწავლა არ შეიძლება მხოლოდ წიგნებით, მისი შესწავლა უნდა იქნას დაკავშირებული პრაქტიკულ ბრძოლასთან: ამ ნიადაგზე უნდა დამყარდეს აღმზრდელობითი მუშაობა.

სამთომადნო მუშათა კონფერენცია

კონფერენციის რეზოლიუცია.

მოსკოვი, 25 ივლისი. რევოლიუციონურ სამთომადნო მუშათა საერთაშორისო კონფერენციამ სავსებით მოიწონა პროპაგანდის საერთაშორისო კომიტეტის მოქმედება, რომელიც მიმართულია ერთიანი ფრონტის შექმნისაკენ. კონფერენციამ კმაყოფილებით აღნიშნა მუშათა საერთაშორისო გამოსვლების ცდა საფრანგეთში, ჩეხოსლოვაკიაში და გერმანიაში მომხდარ დიდი გაფიცვების დროს. კონფერენციამ დაადგინა, რათა რეფორმისტულ შოვინიზმის წინააღმდეგ, სამთო-მადნო მუშებმა დაამყარონ მტკიცე სოლიდარობა მთელი მსოფლიოს სამთომადნო მუშათა შორის. რევოლიუციონურ სამთომადნო მუშების მუშაობა უნდა სწარმოებდეს ადგილობრივ კომუნისტურ პარტიებთან სრულ კონტაქტში. სამთომადნო მუშათა რევოლიუციონურ ბრძოლის დროს საჭიროა კონტაქტი მეღითონეებთან, ტრანსპორტის მუშებთან, ქიმიკოსებთან და არა მარტო საერთაშორისო, არამედ თვითეული ქვეყნის და ყოველი რაიონის მაშტაბით. კონფერენციამ დაადგინა, რათა სამთომადნო მუშები შევიდენ საერთაშორისო ფედერაციის შემადგენლობაში.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ფიზკულტურა.

მოსკოვი. 25 ივლისი. ფიზიკურ მომზადების საერთო დონის ამაღლებისა და მშრომელთა შორის ფიზიკური კულტურისადმი ინტერესის გაძლიერების მიზნით, საკავშირო რევოლიუციონური სამხედრო საბჭო ყოველწლიურათ მოაწყობს სამხედრო სასპორტო შეჯიბრებას დივიზიის და ფლოტის ცალკე ნაწილების პირველობაზე. პირველი საერთაშორისო და საერთო საკავშირო შეჯიბრება გაიმართება მოსკოვში აგვისტოს დამლევს; შეჯიბრება გაიმართება რკინისგზელებსა და იმ ახალგაზრდებს შორის, რომლებსაც ჯერ არ ეხებათ ჯარში გაწვევა.

ბუღალტერების ყრილობა

მოსკოვი. 15 ივლისი. პირველ სექტემბერს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო იწვევს ტრესტების ბუღალტერთა საერთო საკავშირო ყრილობას.

კომინტერნის და კროფინტერნის დელეგაციების მოგზაურობა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. 25 ივლისი. ჩამოვიდა კომინტერნის კონგრესის დელეგატების ჯგუფი, რომელმაც ინახულა მთელი რიგი ქარხნებისა და სამრეწველო დაწესებულებათა.

ლენინგრადი. 25 ივლისი. ჩამოვიდენ პროფინტერნის კონგრესის მუშა-დელეგატები—სხვადასხვა ქვეყნის მუშა-ფეიქრები. ფაბრიკა „სოვეტსკაია ზვეზდა“-ში მათი მონაწილეობით გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი.

ყალბი ფულის მჭრელნი.

ჟიტომირი. 25 ივლ. საგუბერნიო სასამართლოში დამთავრდა ყალბ ფულის მჭრელთა პროცესი. ბოროტმოქმედნი აკეთებდენ ყალბ ჩერვონცებს და დოლარებს. ამ საქმეს მეთაურობდა საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის საფინანსო ნაწილის ყოფილი გამგე—კორჩიცი. 3 მთავარ ბრალდებულს და მათ შორის კორჩიცს დახვრეტა მიუსაჯეს.

ტალახის ვულკანი.

კრასნოდარი. 25 ივლისი. აზოვის ზღვაზე, კერჩის სრუტის მახლობლად წარმოიშვა კუნძული, რომელიც სწრაფად იზრდებოდა განსაკუთრებით უკანასკნელ დღეებში. კუნძული წარმოადგენს ტალახის ვულკანს, რომელიც ამ ჟამად არ მოქმედებს.

უკრაინა

კომუნისტები სამეურნეო ორგანოების მეთაურები.

ხარკოვი. 25 ივლისი. უკრაინის კომპარტიის ცეკა იწვევს თათბირს, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი საპასუხისმგებლო ადმინისტრაციულ სამეურნეო პოსტებზე კომუნისტების წამოყენების შესახებ.

საწარმოვო გეგმა.

ხარკოვი, 25 ივლისი. უკრაინის სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა უკრაინის მრეწველობის მომავალი სამეურნეო წლის საწარმოვო გეგმა, რომელიც გადიდებულია შედარებით მიმდინარე წელთან 30 პროცენტით.

ღარიბი გლეხობა—სახელმწიფო დაზღვევის აგენტები.

ხარკოვი, 25 ივლისი. ცენტრალურ სამართველოს ხელშეკრულებით ღარიბ გლეხთა კომიტეტები ასრულებენ სახელმწიფო დაზღვევის მოვალეობას.

ბრძოლა მავნეებთან.

ხარკოვი, 25 ივლისი. მიმდინარე წელს უკრაინაში დახოცილია 6 მილიონი მინდვრის თაგვი.

ბრძოლა გვალვის წინააღმდეგ

ხარკოვი. 25 ივლისი, უკრაინის ცაკის პრეზიდიუმმა მოიწვია სპეციალური კომისია გვალვის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხის განსახილველად. კომისიაში მონაწილეობას იღებენ გამოჩენილი მეცნიერები და აგრონომები.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო.

ახალსენაკი

— **ახალი ხიდები:** აღმასკომმა გაზაფხულის და ზაფხულის საალმშენებლო სეზონის განმავლობაში ააშენა 7 ახალი ხიდი მდ. აბაშაზე—სიგრძით 35 საჟ., მდ. ტარჩენზე სიგრძით 18 საჟ., მდ. გურძემიაზე—სიგრძით 24 საჟ., მდ. ცივზე—სიგრძით—25 საჟ., დაკიდებული ხიდი მდ. ტეხურზე—30 საჟ., ახლო მომავალში დასრულდება მდ. აბაშაზე რკინის ხიდის აშენება დაბა ბანძასთან, სიგრძით 36 საჟ. დანარჩენი ხიდები ხის მასალისაგანაა გაკეთებული.

— **ახალი კლუბი.** დამთავრდა პროფკავშირთა ბიუროს ახალი კლუბის აშენება. კლუბის გახსნა მოხდება ერთი თვის შემდეგ.

— **გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტები.** მაზრის ყველა თემებში მოეწყო საურთიერთო დახმარების კომიტეტები. ზოგიერთ სოფლის საბჭოებმა გადასცეს კომიტეტებს კულაკებისაგან ჩამორთმეული წისქვილები. შემოწირულების შეკრება წარმატებით მიმდინარეობს. კომიტეტის ფონდს შეადგენს 3.000 ფ. სიმინდი. განზრახულია კომიტეტის უნივერსალურ მაღაზიის გახსნა ახალ-სენაკში.

— **პედაგოგიური კურსები.** სახალხო განათლების ადგილობრივმა ინსპექციამ მოაწყო კურსები სოფლის მასწავლებელთათვის. კურსებზე სწავლობს 200 მასწავლებელი, რომელთაც ყოველგვარი კმაყოფა ეძლევათ ადგილობრივ აღმასკომისაგან. კურსებზე სწავლა გრძელდება 1 ნახევ. თვე.

ზუგდიდი

— **ციმბირის ჭირი.** ღორების დაავადება ციმბირის ჭირით იღებს ეპიზოოტიურ ხასიათს. საზეითლო პერსონალმა მიიღო ყოველგვარი ზომები საშიშროების თავიდან ასაცილებლად.

— **პროდუქტების სიმცირე.** მაზრის კოოპერატიულ ორგანიზაციებში არ მოიპოვება მარილი, ნავთი, შაქარი, წუმწუმა, რაც მცხოვრებლებს ძალიან ესაჭიროებათ.

— **ახალი ხიდის აშენება.** ადგილობრივი აღმასკომი აშენებს ახალ ხიდს მდ. ხომზე სოფ. მუხურასთან.

— **სასოფლო სამეურნეო გადასახადის აკრეფა.**—სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა მაზრაში წარმატებით მიმდინარეობს. შეკრებილია სულ 75 პროც.

აზერბეიჯანი

სემინარიები ყაზახში

ბაქო. 24 ივლისი. სახალხო განათლების კომისარიატმა დაამუშავა პროექტი ქალების და კაცების სემინარიების ასაგებათ ყაზახში 200 კაცისათვის.

ბაქოს ტრამვაი

ბაქო. 25 ივლისი. ბაქოს საბჭოს გეგმათა კომისიამ დაამტკიცა ბაქოს ტრამვაის ხარჯთაღრიცხვა 1924 წლის მე-4 კვარტალისათვის. საშემოსავლო ნაწილი დამტკიცებულია 572.000 მ., რაოდენობით გასავალის—620.520 ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცებულია დეფიციტით 48.950 მან. რაოდენობით, რომლის დასაფარავათ გადაწყვეტილია აღძრული იქნეს შუამდგომლობა აზერბეიჯანის ნავთის სამმართველოს წინაშე უპროცენტო სესხის მიცემის შესახებ 50.000 მან. რაოდენობით, ერთი წლის ვადით; გადაწყვეტილია აგრეთვე აღძრული იქნეს შუამდგომლობა ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს და ფინანსთა კომისარიატის წინაშე 130.000 მანეთის მიცემის შესახებ, რომელიც გადიდებული იყო, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის მიღებული.

შაქრის ბაზარი.

ბაქო, 25 ივლისი. შაქრის მარაგი აზერბეიჯანში საკმაოთ დიდია. შაქრის მიწოდება მოსახლეობისათვის განუწყვეტლივ სწარმოებს.

პარტიული ცხოვრება

იმპერიალისტური ომის 10 წლის თავზე

კამპანიის ჩატარების წესრიგი

თბილისის მაზრაში:

27 ივლისს, 3 და 4 აგვისტოს შეფები მიემგზავრებიან შეფობის ქვეშ აყვანილ სოფლებში კამპანიის ჩასატარებლად იმპერიალისტური ომის 10 წლის თავის შესრულების გამო. სამაზრო რაიკომები (თბილისის მაზრაში) კამპანიის გატარებას იწყებენ 27 ივლისს და ათავებენ 4 აგვისტოს.

თბილისში:

27 და 28 ივლისს წითელ-არმიელთა ნაწილებში წაკითხული უნდა იქნეს მოხსენებები მოგონებებით წარსული ცხოვრებიდან. მოხსენებებს უნდა დაესწრონ წითელ-არმიელთა ნაწილებზე მიმაგრებული სამოქალაქო წარმოებები და დაწესებულებები—შეფები.

29, 30 და 31 ივლისს და 1-ლ აგვისტოს წარმოებებში მათზე მიმაგრებულ წითელ-არმიელთა ნაწილების თანდასწრებით წაკითხული უნდა იქნეს მოხსენებები ამ საკითხის შესახებ.

2, 3 და 4 აგვისტოს კამპანია დამთავრებული უნდა იქნეს საკლუბო საღამოებით. კლუბებში წაკითხული უნდა იქნეს მოხსენებები და რაიონულ საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებების თაოსნობით ნაჩვენები უნდა იქნეს ეკრანზე სათანადო სურათები წარსულ იმპერიალისტურ ომის ცხოვრებიდან ან და დადგმული უნდა იქნეს პატარა პიესები სათანადო შინაარსით.

მომხსენებლები, რომელთა სია უკვე გამოცხადებული იყო, გამოყენებული უნდა იქნენ როგორც წითელ-არმიელთა კრებებზე, ისე წარმოებებში და კლუბებში.

თბილისის კომიტეტის მდივანი **რუბენი.**

საგ.-საპრ. განყ. გამგის მოადგილე **გ. ელისაბედაშვილი**

„სათვისტომოების“ შესახებ

ამ ჟამათ ჩვენ კომუჯრედებში ისმება საკითხი სათვისტომოების (землячества) დაარსების შესახებ. ეს საკითხი სწორეთ დროზე არის წამოყენებული და საჭიროა მისი მნიშვნელობაში ნათლად გარკვევა. ყველას ერთნაირად არ ესმის ეს საკითხი ამ ორგანიზაციების მომავალი სახე და მუშაობა.

სათვისტომო ძველი სიტყვაა, რომელიც შეიძლება ამ შემთხვევაში სწორათ ვერ გამოხატავს იმ ორგანიზაციის სტრუქტურას, რომლის დაარსებაც განზრახულია. სათვისტომო წარმოადგენს, გულისხმობს ერთი კუთხის, ერთი რაიონის თუ სოფლელ ამხანაგთა ჯგუფს, რომლებსაც მიზნათ დაუსახავთ დახმარების მიცემა თვის კუთხის მცხოვრებთათვის.

დღეს, როდესაც ჩვენ ვაყენებთ საკითხს გლეხობასთან კავშირის გაძლიერების შესახებ, არ შეიძლება აუაროთ გვერდი ამ ახალ ორგანიზაციას და არ შევჩერდეთ მასზე.

ამხ. ლენინმა მიგვითითა გლეხობასთან ჩვენ კავშირის გაძლიერების მიზნით სხვათა შორის შეფობაზე.

გამოცდილებიდან ირკვევა, რომ შეფობა სათანადო ნაყოფს მოგვცემს, ის დაგვაახლოვებს გლეხობას, განამტკიცებს მუშათა და გლეხთა კავშირს.

როდესაც ჩვენ საშეფო მუშაობას შევუდექით, აღმოჩნდა რომ არის სურვილი, ლტოლვა თვისი სოფლის დახმარებისა.

საქართველო წარმოადგენს უმთავრესათ სასოფლო მეურნეობის ქვეყანას, სადაც ქალაქის მუშა ჯერ ამა თუ იმ გზით კიდევ დაკავშირებულია სოფელთან და ის უსათუოთ, თუ დაისმება საკითხი სოფელთან კავშირის დაჭერის შესახებ, გაიხსენებს პირველათ ყოვლისა „თავის“ სოფელს.

თუ შევადარებთ გურიასა და ქიზიყს, ზემო იმერეთს და ბორჩალოს ჯავახეთს და სამეგრელოს, და სხვა, თქვენ წინაშე გადიშლება მთელი სურათი საქართველოს გლეხობის ცხოვრების სხვადასხვაობისა.

განა ყველას შეუძლიან უცხო კუთხეების გლეხებთან სათანადო კავშირის დაჭერა? განა ყველას შეუძლიან სათანადოთ ჩასწვდეს ამ კუთხეების გლეხების გულს და ამოიკითხოს ის, რაც მასში ტრიალებს? არა. ან კიდევ, განა გლეხი ყველას ერთნაირად მიუშვებს თავისთან მისი ზრახვების გასაგებათ? არა. ვინც იცნობს სოფელს, ვისაც უმუშავია სოფელში—ის უთუოდ დაგვეთანხმება ამაში.

სათვისტომოს საჭიროება სწორეთ ამ გარემოებამ წარმოშვა. სათვისტომო უფრო მისაწვდომი იქნება გლეხისათვის. მისი მუშაობა გაადვილებს სოფელთან დაახლოების საქმეს.

რა განსხვავებაა შეფობასა და სათვისტომოს შორის? შეფი თვისი წევრთა ნაწილით არის საშეფო სოფელთან დაკავშირებული, იგი მასიურია, ეს უფრო ფართე მასშტაბით მუშაობს (იხ. ჩემი წერილი „კომუნისტი“ № 162), სათვისტომო კი შედგება სოფლის ნაცნობ პირებისაგან, ეს მცნება უფრო პატარაა. როგორც შეფი, ისე სათვისტომო ემსახურება სოფელთან კავშირის გაძლიერების საქმეს.

იმ დროს, როდესაც ჩვენში სოფლების რიცხვი გაცილებით მეტია და შეფების რაოდენობა ვერ ასდის მოთხოვნილებას, სათვისტომოების დაარსებით ჩვენ შეგვეძლია თითქმის ყველა სოფლებს მივსწვდეთ, სათვისტომო დააკავშირებს ქალაქს და სოფელს. და ეს კავშირი იმდენათ უფრო გაძლიერდება, რამდენათ უფრო სიცოცხლის უნარიანობას გამოიჩენს იგი. მას საქმე ბევრი ექნება: გლეხს ესაჭიროება ცნობა-დარიგებები ზოგიერთ საკითხებში, სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეღავათიან ფასებში შეძენა, მას აინტერესებს ქალაქის და მთელი ქვეყნის მდგომარეობა და სხვა. გლეხი მოდის ქალაქში ეძებს გზის მჩვენებელს; მისთვის საჭიროა იურიდიული დახმარება და სხვა. ყველა ამ საკითხებში სათვისტომო მას არსებით დახმარებას მისცემს.

სათვისტომოს ისე, როგორათაც ჩვენ დანარჩენ ორგანიზაციებს, უნდა ჰქონდეს კლასობრივი ხასიათი და ამას ჩვენ მივაღწევთ, როდესაც სათვისტომოები დაარსდება სამრეწველო დაწესებულებებში და მასში მოიყრიან თავს მუშები. გარეშე თანასოფლელ მოქალაქეთა სათვისტომოში შეყვანა უნდა მოხდეს მეტი სიფრთხილით.

სათვისტომოები ქალაქის ფარგლებში ექსტერიტორიალური უნდა იქნეს, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ; ის შეიძლება შესდგეს სხვადასხვა რაიონებში და დაწესებულებებში მომუშავეთაგან. იქ სადაც იქნება მთავარი ძალა, ამ რაიონსვე უნდა დაუკავშირდეს ესა თუ ის სათვისტომო.

პარალელობა შეფების და სათვისტომოს მუშაობაში აცილებული იქნება. სადაც შეფებია იქ სათვისტომოც იმუშავებს უკანასკნელთან შეთანხმებით. სადაც შეფი არ იქნება, იქ სათვისტომო მუშაობს თავისით. კავშირის დაჭერა, პირველსა და უკანასკნელ შემთხვევაშიც, ადგილობრივ რაიკომებთან და ცენტრშიც რაიონულ ორგანიზაციებთან საჭიროც და სავალდებულოც უნდა იყოს. მთელ მუშაობას კი უნდა ხელმძღვანელობდეს ცენტრის (თბილისში—თბილისის კომიტეტის) საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

ამ ორგანიზაციების სახე საბოლოოთ შემდეგში ჩამოყალიბდება: რაიონს ეყოლება შეფათ სამრეწველო დაწესებულება და სათვისტომოები, რომლებიც დაეხმარებიან შეფს მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცების საქმეში. სოფელს მოწყვეტილი ამხანაგები ამ საკავშირო საქმეს ასრულებენ შეფობის გზით.

ერთი შეხედვით შეფობა და სათვისტომობა—პატარა და უბრალო საკითხია, მაგრამ, თუ დაუკვირდით, იგი მეტად რთული და სერიოზული საკითხთაგანია.

ვუსურვოთ ჩვენს ამხანაგებს ამ საქმეში ენერგიული მუშაობა. გლეხობის გულით-მიაშურეთ სოფელს!

გ. ელისაბედაშვილი.

ზესტაფონის რაიონი

არ არის დიდი ხანი, რაც ზესტაფონის რაიონში რაიპარტკომი იქნა დაარსებული. მაგრამ უნდა ითქვას, რომ პარტიული მუშაობა მას შემდეგ გამოცოცხლდა. რაიკომი აწარმოებს დაუღალავ მუშაობას უჯრედებში და აგრეთვე უპარტიო მასაშიც. არსებობს 7 კომუჯრედი, მათში ირიცხება 125 წევრი და კანდიდატი, ყველა კომუჯრედებზე მიმაგრებულია 3 | მ. ამხანაგები, რაიონულ მასშტაბით შემოღებულია ერთიანი პარტიული დღე (ხუთშაბათი), როდესაც სწარმოებს პოლიტიკური მეცადინეობა და აგრეთვე ირჩევა სხვადასხვა საკითხები. მიმაგრებული ამხანაგები რაიპარტკომიდან სისტემატიურათ ღებულობენ დირექტივებს უჯრედებში სამეცადინოთ. რაიპარტკომი თვეში ერთხელ იწვევს კომუჯრედების მდივნების და მიმაგრებულ ამხანაგების თათბირს, სადაც ირკვევა უჯრედების წარსული მუშაობა და მომავალი სამუშაო გეგმა.

რაიონში აგრეთვე არსებობს უპარტიოთა 6 პოლიტ-წრე, რომლებსაც რაიკომი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, ამ წრეებში სწარმოებს პოლიტიკური მეცადინეობა კვირაში ერთხელ. რაიპარტკომი დახმარებას უწევს ა. ქ. კავშირის რაიკომს როგორც იდეურათ, აგრეთვე მატერიალურათ. კავშირი პარტიასა და კავშირს შორის კარგია.

შემოსულია განცხადებები 400 კაცისაგან პარტიაში მიღების შესახებ, უმთავრესად მუშებისაგან.

ა. ხ—ძე.

ეკონომიური ცხოვრება

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობა

ვაჭრობის ზრდა.

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობას თბილისში აქვს 7 ცალობით სავაჭრო მაღაზია, რომელიც მშრომელ მოსახლეობას აწვდის პირველი საჭიროების და ოჯახში მოსახმარ საგნებს.

ვაჭრობა თვიდან-თვემდე შესამჩნევად იზრდება და ემჩნევა აგრეთვე ტენდენცია შემდეგი ზრდისათვის. იზრდება აგრეთვე მყიდველთა რაოდენობაც. მაგალითად 1924 წლის თებერვალში იყო 1137 მყიდველი, ხოლო ამავე წლის ივნისში მისმა რიცხვმა 45,000-მდე მიაღწია. თვითეულ კაცზე საშუალოდ გასაღებულია 4 მან. 15 კაპიკიდან 7 მან. 5 კაპიკამდე საქონელი. ეს გარემოება ცხადჰყოფს, რომ მყიდველთა შემადგენლობა პროლეტარული და ნახევრად პროლეტარულია. სახელმწიფო ვაჭრობის ძირითადი ამოცანა, რასაკვირველია, ცალობითი ვაჭრობა თანდათანობით გადაეცემა კოოპერაციას იმის მიხედვით, თუ რამდენად დაიპყრობს ეს უკანასკნელი ბაზარს და გაძლიერდება. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ვაჭრობისათვის ცალობით ვაჭრობას მიეცემა მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა.

ახალი ამოცანები.

ამ ჟამად საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის მთავარი ამოცანებია: [illegible] სასოფლო მეურნეობისათვის საბჭოთა მრეწველობის ფაბრიკატების მიწოდება. ამ უკანასკნელ გარემოებასთან დაკავშირებით სახელმწიფო ვაჭრობის ერთ უმთავრესს ამოცანათაგანს წარმოადგენს კერძო კაპიტალისათვის საბითუმო ბაზრიდან განდევნა.

სავაჭრო გეგმის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობას განზრახვა აქვს საკალენდარო წლის დასრულებამდე დამზადოს საქართველოს საზღვრებში სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები საბჭოთა რესპუბლიკებში გასაზიდათ დაახლოვებით მილიონ ნახევარი მანეთის ღირებულების და შემოიტანოს საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებიდან მანუფაქტურა, ფეხსაცმელი, ჭურჭლეულობა, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, რკინეულობა და სხვა ამგვარი იმდენივე თანხის ღირებულების. გასაზიდ საქონელს შორის არის ღვინო, რომელიც იანვრამდე უნდა გაიზიდოს დაახლოვებით 150 ვედრო.

საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკში

ახალი საკრედიტო ამხანაგობები

მიღებულია ცნობები, რომ **სიღნაღის მაზრაში** უკვე დაარსდა საკრედიტო ამხანაგობები ს. წითელ წყაროს—1, ზემო ქიზიყში—2 (ქვემო-მაჩხანში და საქობოში, იგივე წნორის წყალი), ალაზან-გალმა—2 (ლაგოდეხში და აფენში), ანაგაში—1 გურჯაანში—1, ველის-ციხეში—1 და კაჭრეთ არაშენდაში—1, სულ 9 საკრედიტო ამხანაგობა.

თელავის მაზრაშიც მუშაობა უკვე დაწყებულია და ამ დღეებში დაარსებული იქნება 4-5 საკრედიტო ამხანაგობა.

გლეხობა ყველგან კმაყოფილებით და სიხარულით ეგებება ბანკის წინადადებას. კრებებს ესწრება მეურნეთა დიდი რიცხვი და უმეტესი ნაწილი ეწერება ამხანაგობების წევრად. ადგილობრივი „ეპო“-ები და საგლეხო კომიტეტები აგრეთვე ჩაეწერენ წევრებათ. გლეხებს ყრილობებზე გამოაქვთ დადგენილებები, რათა საქართველოს გასაბჭოებამდე არსებულ წვრილი საკრედიტო დაწესებულებების მთელი ინვენტარი და შენობები გადაეცეს ახლად დაარსებულ საკრედიტო კოოპერატიულ ამხანაგობებს.

ამ ჟამად მიღებულია დამატებით ცნობები იმის შესახებ, რომ შორაპნის და ქუთაისის მაზრაში დაარსებულია 9 საკრედიტო ამხანაგობა.

სოფლის მეურნეობის აღწერა

ფინსახკომის რწმუნებულის სამართველოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განყოფილებამ უკვე დაამთავრა აღმოსავლეთ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრი ქონების საალწერო მუშაობა. ყველა მაზრებიდან უკვე მიღებულია სამაზრო ნუსხები აღნიშნული გადასახადით დასაბეგრი საგნებისა და მათი მიხედვით შეყვანებულია საერთო ნუსხა მთელი აღმოსავლეთ საქართველოსათვის. ამასთან დაკავშირებით შეყვანებულია ნუსხა გამომხატველი მიწით-უზრუნველყოფისა მჭამელზე—ორივე ეს ნუსხები ფრიად საინტერესოა და სინამდვილით 95 პროცენტამდე იძლევიან უკანასკნელ და სრულ სურათს ეკონომიური მდგომარეობისა, ჩვენი სოფლის მეურნეობისა აღმოსავლეთ საქართველოში;

ამ ნუსხის თანახმათ აღმოსავლეთ საქართველოში ითვლება 2,468 სოფელი, 181,245 სოფლის მეურნე, რომელთაც აქვთ 470,677 დესეტინა ვარგისი სახნავი მიწა, 6,500 დესეტინა ბოსტანი და ბაღები, 73,591 დესეტ. სათიბი, 12 დესეტინა ბრინჯ. ქვეშ, 3232 დესეტ. ხილის ბაღები, 14,381 დეს. ვენახები, 619 დეს. თამბაქოს ქვეშ, 2,226 დეს. ბამბის ქვეშ და 6 დეს. თუთის ბაღები; ცხენები და ჯოგები 33,305 სული, მსხვილფეხა საქონელი 459,321 სული, ვირები 12,641 სული, აქლემები 154, თხა-ცხვარი 779,227, ღორები 54,972.

გარდა დასაბეგრი ქონებისა, აღწერილი იქნა აგრეთვე მშრომელთა რიცხვი და შრომის უნარ მქონე ოჯახის წევრნი, რომელთა რაოდენობა უდრის—პირველი 865,940 სულს და მეორე 345,549 სულს,—უკანასკნელი ე. ი. შრომის უნარ მქონე აღებული არიან—მამაკაცი 18 წლ.—60 წლამდის და დედაკაცი 16 წლ.—55 წლამდის.

წასული საბიუჯეტო 1923—24 წელთან შედარებით ამა 24—25 წლის აღწერა დამყარებული იყო უფრო სწორ ნიადაგზე და თუმცა აღწერას საქართველოში დაგვიანებით შეუდგენ, თვით აღმწერლების შტატი მოწვეული იყო ნაჩქარევათ და ხშირად მოუმზადებელი პირებისაგან,—მიუხედავათ ამისა ამ აღწერამ მოგვცა უფრო ნაყოფიერი შედეგები. როგორც მიწის, ისე საქონლის რაოდენობა აღემატება წასული წლის ცნობებს საგრძნობლად—პირველი დაახლოვებით 5 პროც. ხოლო მეორე კი 26 პროც.

გარდა ამისა ამ აღწერამ მოგვცა ფრიად საინტერესო ცნობები, რაც ჯერ-ჯერობით თითქმის არც ერთ დაწესებულებას არ გამოუკვლევია—ეს მიწის რაოდენობა მჭამელზე და მისი დახარისხების სურათი. საალწერო გეგმით დაწესებული იყო ცხრა კატეგორია მიწის მფლობელობის რაოდენობისა, დაწყებული 1 | 4 დესეტინიდან და უფრო ნაკლები, ვიდრე 2 დესეტინა და მეტი სულზე; ამ გამოკვლევამ მოგვცა სრული სურათი მიწის მფლობელობის რაოდენობისა აღმოსავლეთ საქართველოში.

ამის მიხედვით პირველი კატეგორიის მიწად-მფლობელობის რაოდენობა, ე. ი. 1 | 4 დესეტინამდე და უფრო ნაკლები რომ ხვდება სულზე უდრის 4467 კომლს, რომელთაც აქვთ 11408 დესეტინა ვარგისი მიწა; მეორე კატეგორიისა—ე. ი. როცა სულზე მოდის 1 | 4 დესეტინიდან 1 | 2 დესეტინამდის,—არის 20.811 კომლი, რომელთაც აქვთ 53.963 დესეტინა ვარგისი მიწა; მესამე კატეგორიისა, ე. ი. როცა სულზე მოდის 1 | 2 დესეტინიდან 3 | 4 დესეტინამდის არის 34.092 კომლი, რომელთაც აქვთ 111.999 დესეტინა ვარგისი მიწა; მეოთხე კატეგორიისა, ე. ი. როცა სულზე მოდის 3 | 4 დესეტინიდან 1 დესეტინამდის, არის 28.371 კომლი, რომელთაც აქვთ 125.904 დესეტინა მიწა; მეხუთე კატეგორიისა ე. ი. როცა სულზე მოდის 1 დესეტინიდან—1 1 | 4 დესეტინამდის—არის 23.434 კომლი, რომელთაც აქვთ 113,715 დესეტინა მიწა; მეექვსე კატეგორიისა, ე. ი. როცა სულზე მოდის 1 1 | 4 დესეტინიდან—1 1 | 2 დესეტინამდის, არის 13.327 კომლი, რომელთაც აქვთ 81.990 დესეტინა მიწა; მეშვიდე კატეგორიისა, ე. ი. როცა სულზე მოდის 1 1 | 2 დესეტინიდან—1 1 | 4 დესეტინამდის. არის 8,726 კომლი, რომელთაც აქვთ 61.238 დესეტინა მიწა; მერვე კატეგორიისა, ე. ი. როცა სულზე მოდის 1 3 | 4 დესეტინიდან, 2 დესეტინამდის, არის 5.428 კომლი, რომელთაც აქვთ 41.760 დესეტინა მიწა, და მეცხრე კატეგორიისა, ე. ი. როცა სულზე მოდის 2 დესეტინაზე მეტი, არის 16,474 კომლი, რომელთაც აქვთ 152.277 დესეტინა მიწა. გარდა ამისა იგივე გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ყოფილა დიდძალი უმიწაწყლო ანუ სულ მცირე მიწიანი გლეხობა, ასეთის რაოდენობა უდრის 23.222 კომლს, რომელთაც აქვთ სულ 30.132 დესეტინა მიწა.

ამ ცნობებიდან აშკარად სჩანს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში უფრო მეტი და მძლავრნი ყოფილან მესამე, მეოთხე და მეხუთე კატეგორიის მოსახლეობა, ე. ი. როცა სულზე მოდის სამი მეოთხედი დესეტინიდან 1 ერთი მეოთხედი დესეტინამდის, ანუ ხუთი სულისაგან შემდგარი ოჯახზე—3 სამი მეოთხედი დესეტინიდან—6 ერთი მეოთხედი დესეტინამდის; ეს არის საშუალო მიწის მფლობელობის რაოდენობა 5 სულისგან შემდგარ ოჯახზე. დანარჩენი მოსახლეობა, რომელსაც აქვს ამაზე ნაკლები მიწა ოჯახზე, უნდა ჩაითვალოს მცირე მიწიანათ, ხოლო რომელთაც აქვთ ამაზე მეტი—ჩაითვლება შეძლებულ გლეხობათ.

თავისთავად ცხადია, რომ ჩვენი საგადასახადო პოლიტიკა სოფლად გაუწევს სათანადო ანგარიშს ამ გამოკვლევას და მიიღებს ყოველგვარს ზომებს შეუმსუბუქოს საგადასახადო ზეგავლენა მცირემიწიან გლეხობას, რათა მისცეს მას საშვალება გაღონიერდეს ეკონომიურათ; საშუალო—გლეხობას არ დაამძიმებს გადასახადებით; მათ გადახდებათ ნორმალური გადასახადი, მათი მეურნეობის შემოსავლის კვალობაზე, ხოლო შეძლებულ გლეხობაში იქნება გატარებული ისეთი საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც სახელმწიფოს სასარგებლოდ გამოქაჩავს მათგან ზედმეტ სიმდიდრეს.

სამაზრო საგადასახადო კომისიები, რესპუბლიკანური კომისიის ხელმძღვანელობით, თავისი მოქმედებაში მიიღებენ ყოველივე ამას მხედველობაში და ამის მიხედვით ჩაატარებენ საგადასახადო კამპანიას.

ვ. ჯ.

კიდევ 1.450.000 მ. ზაჰესკომს

ამხ. თედო ღლონტი მოსკოვიდან დეპეშით იტყობინება, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურისათვის მისცა თბილისის აღმასკომს სესხი 1.450.000 მანეთის რაოდენობით. ამ სესხთან ერთად ელსადგურისათვის ცენტრიდან მიღებულია სულ 4.000.000 მანეთი.

პროფკავშირებში

კულტმუშაობა კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირში

ხსენებულ კავშირის კულტმუშაობა სავსებით დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. კულტგანყოფილების გამგე ამხ. გრეკოვი თავის სიმაღლეზე სდგას და მუშაობაში შეაქვს სრული სიცხოველე და საქმის სიყვარული.

კულტგანყოფილებას მტკიცე და მჭიდრო კავშირი აქვს გაბმული კულტუჯრედებთან და მუშების ფართო მასებთან. მან სულ ცოტა ხნის განმავლობაში მოიწვია კულტუჯრედების კონფერენცია, და მათთან ერთად განიხილა სხვადასხვა კულტურულ-განმანათლებელი საკითხები; მოაწყო აგრეთვე წრეების ხელმძღვანელების თათბირები—სამუშაო მთლიანი და შეთანხმებული გეგმის შესამუშავებლად.

კულტგანყოფილების მუშაობის მთავარ ამოცანას შეადგენდა: კლუბებში ინდივიდუალურ წევრობის გატარება, რევოლიუციონერთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციაში მეტი წევრების მიზიდვა, ბიბლიოთეკების ახალი ლიტერატურით შევსება, წერა-კითხვის უცოდინარობის ალკვეთა და პროფტეხნიკური განათლების გავრცელება.

მუშაობის შედეგები ადასტურებენ, რომ დასახულ მიზანთა მიმართულებით კულტგანყოფილებას ბევრი რამ გაუკეთებია.

წერა-კითხვის უცოდინარობის ალკვეთა.

კავშირის მიერ მოხდენილ გამოკვლევით, პირველ იანვრისთვის წერა-კითხვის უცოდინარ წევრთა რიცხვი 879 კაცს უდრიდა. კულტგანყოფილებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ მოვლენას და მუშების საერთო კრებებზე საგანგებო ლექციები წაიკითხა, რათა რაც შეიძლება მეტი წერა-კითხვის უცოდინარი მიეზიდა შესაფერ სკოლებში.

წერა-კითხვის უცოდინარობის ალკვეთ სკოლებში ითვლებოდა 200 კაცი, პირველი საფეხურის სკოლებში კი 118 კაცი.

მაისში მოხდა მოწაფეთა საზეიმო გამოშვება. გამოცდა ჩააბარა 162 კაცმა. პირველ საფეხურის სკოლა კი წარმატებით 89 კაცმა დაასრულა. ასეთივე სკოლები ჰქონდა გახსნილი კავშირს მაზრებშიაც და მუშაობა იქაც წარმატებით მიმდინარეობდა.

კულტგანყოფილებას განზრახული აქვს კიდევ უფრო გააძლიეროს მუშაობა ამ მხრივ და 1925 წელს სრულიად მოსპოს ეს მოვლენა თავიანთ წევრთა შორის.

საკლუბო მუშაობა.

ინდივიდუალური წევრობა ჯერჯერობით მხოლოდ ორ კლუბში არის გატარებული.

სულ მოწყობილია 4 პროფწრე, რომლებშიაც მხოლოდ მუშები მეცადინეობენ.

პირველ იანვრიდან დაწყებული კლუბებში გაიმართა 39 წარმოდგენა, სამი კონცერტი, მოეწყო 38 ლექცია, თვითმოქმედების საღამო—2, საბავშვო წარმოდგენა—5 და 45 ჯერ კინო-სურათების ჩვენება.

ყველა კლუბში გახსნილია ლენინის კუთხეები. ამჟამად საკლუბო მუშაობა უკვე გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს.

ბიბლიოთეკები.

ბიბლიოთეკებში კულტგანყოფილებამ შესაფერი მუშაობა ჩაატარა. პირველყოვლისა მან განტვირთა ბიბლიოთეკები უკვე გამოუსადეგარ ლიტერატურისაგან და შემდეგ შეიძინა ახალი, აუცილებელი წიგნები (სამივე ენებზე: რუსულზე, ქართულზე და სომხურზე. სულ კავშირს შეძენილი აქვს 1200 წიგნი. მოაწყო აგრეთვე ორი მოძრავი ბიბლიოთეკა.

პროფპროპაგანდა.

კავშირების ცხოვრებაში მუშაობაში ეს დარგი ერთ მთავარ მიზანთაგანს შეადგენს. აღნიშნულ კავშირის კულტგანყოფილებამ შესაფერად შეაფასა პროფგანათლების მნიშვნელობა და საყურადღებო ნაბიჯებიც გადადგა მის მუშათა შორის გასავრცელებლად.

პირველყოვლისა მან მოაწყო მთელი რიგი ლექციებისა. გახსნა ერთი საფაბრიკო-საქარხნო სკოლა, გაატარა წარმოებებში მასიური პოლიტ-განმანათლებელი მუშაობა, ჩაატარა სხვადასხვა კამპანიები და სხვა.

სოციალური აღზრდა.

კულტგანყოფილებამ ჩაატარა კამპანია სპარტაკში ჩაწერის სასარგებლოდ, მოაწყო 4 კოლექტივი, რომლებშიაც 380 ბავშვი ირიცხება, მათთვის საგანგებოდ მიჩენილია შესაფერი ბინები.

ფიზკულტურა.

ამ უკანასკნელ ხანში საერთოდ კავშირებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ფიზიკურ კულტურას. კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის კულტგანყოფილებამ ამ დარგშიც საგრძნობ შედეგებს მიაღწია. მოეწყო სავარჯიშო კლუბი. ამჟამად ფიზკულტურის წრის შემადგენლობა ასეთია: სულ წრეში ირიცხება 64 კაცი. აქედან 5 პარტიულია, 33 ახალგაზრდა კომუნისტების კავშირის წევრი, 7 წითელ-არმიელი, 19 უპარტიო. საანგარიშო ხნის განმავლობაში წრემ ხუთჯერ მოაწყო გამოსვლა.

პროფბეჭდვითი სიტყვა.

წარმოებებში გამოდის კედლის გაზეთები. ყველაზე უფრო კარგათ მათ შორის „წითელი ცეცხლის მქრობელია" დაყენებული. კულტგანყოფილება თავიანთ წევრთა შორის ატარებდა აგრეთვე კოლექტიურ ხელისმოწერას ადგილობრივ გაზეთებზე.

მუშაობა უმუშევართა შორის.

კულტგანყოფილებამ მოიწვია უმუშევართა საერთო კრებები, რომლებზედაც მოაწყო მოხსენებები სოციალურ დაზღვევაზე და უმუშევრობაზე. ამას გარდა უმუშევრები ახლო მონაწილეობას ღებულობენ საკლუბო მუშაობაში, ითვლებიან კლუბების წევრებად, ესწრებიან წარმოდგენებს და ლექციებს.

პროვინციის პროფორგანიზაციებში

ბორჯომის პროფბიუროში.

ბორჯომის პროფბიუროს და მომხმარებელ საზოგადოების წევრების საერთო სხდომაზე მოსმენილი იქმნა ამხ. მაისურაძის მოხსენება კოოპერაციის ამოცანაზე. მომხსენებელმა აღნიშნა კომპარტიის მე-13 ყრილობის დადგენილებები კოოპერაციის შესახებ.

სხდომამ მიიღო დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია გაატაროს ცხოვრებაში კომპარტიის მე-13-ე ყრილობის აზრი კოოპერაციის გასანვითარებლათ.

ლეჩხუმის სამაზრო პროფბიუროში.

ხის დამმუშავებელთა კავშირის ლეჩხუმის განყოფილებამ დაადგინა მოახდინოს ადგილობრივი ხის დამმუშავებელ მუშების აღრიცხვა.

აღრიცხვის მიზანია მუშების შეკავშირება და მათ შორის კულტმუშაობის გაძლიერება.

ქუთაისის სამპროფბიუროში.

ქუთაისის პროფმუშაობა კარგადაა დაყენებული. კულტმუშაობა განვითარებულია. კავშირებში მოწყობილია წრეები. მუშათა კლუბებში სწარმოებს გაცხოველებული კულტმუშაობა. შეძენილია სასუნთქავ ორკესტრის ინსტრუმენტები. მუშათა სახლებში ნაწილობრივ სახლდება მუშები. სამაზრო საფინანსო განყ. 5 თვეა რაც არ მიუღია ჯამაგირი.

პროფორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი

საბინაო-საამშენებლო კოოპერაცია

(მომხსენებელი ამხ. პრეობრაჟენსკი)

როცა საბინაო კრიზისის გადაწყვეტა შეუძლებელი შეიქნა მობინავეთა შემჭიდროვებით, წამოიჭრა საკითხი მუშათა სახლების აშენების შესახებ. კოოპერატორთა მოსაზრებით, მუშებისათვის უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა განმარტოებული სახლების აგება, რადგან ასეთ სახლებში მათთვის უფრო მოსახერხებელი იქნება დასვენება და ძალების შევსება. მ. სახლების ასაგები გეგმის და პროექტების დასამუშავებლად სამუშაოდ მოწვეულ იქნენ თბილისის საუკეთესო არქიტექტორები.

საკითხის პრაქტიკულ გადაწყვეტას ხელი შეუშალა უსახსრობაში ფულისათვის პირველად მიმართეს სამეურნეო ორგანოებს, მაგრამ მათ დახმარებაზე უარი განაცხადეს. მხოლოდ ქალაქის აღმასკომმა გაიღო ამ მიზნისათვის ყოველ კვირეულად 100 მილიონი მანეთი. იმ მოკლე ხანში მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა: საბჭოთა კავშირის ცენტრ. ხელისუფლების დადგენილებით, საამშენებლო საჭიროებისათვის შემოღებულია: ბურჟუაზიულ ბინების დაბეგვრა, ტრესტების მოგების ანარიცხები, შემოსავლის კვალობაზე შემოსული გადასახადების ნაწილის და აღმასკომების დარაბებიდან შემოსული გადასახადების ანარიცხების გადიდება და სხვა. გარდა ამისა მიწათმოქმედების სახ. კ—მს ევალება გადასდოს მუშათა საბინაო სახლებისათვის ხე-ტყის მასალა. რკინის-გზაზე დაწესებულია შეღავათიანი ტარიფი ხე-ტყის და სხვა მასალების გადასაზიდათ.

ამ ჟამად სწარმოებს 20-ზე მეტი სახლის შენება ტრამვაელებისა და რკინისგზელთათვის. განზრახულია სახლების აგება არსენალის მუშებისა და მელითონეებისათვის. სულ ყველა წყაროებიდან მოსალოდნელია 400 ათასი მანეთის შემოსავალი წლიურად. ამ თანხით შესაძლებელი გახდება 100-ზე მეტი სახლის აგება.

მუშათა საბინაო კოოპერატივი

(მომხსენებელი ამხ. ლეინი)

მუშათა საბინაო კოოპერატივს გადაეცა 150 მუნიციპალიზაციაქმნილი სახლი მუშა-მოსამსახურეთა დასაბინავებლად. გადაცემული სახლების უმრავლესობა საჭიროებს რემონტს, რადგან 10 წლის განმავლობაში ისინი არ შეკეთებულან. ამა წლის 20 მაისს არჩეულ იქნა სახლების ახალი მართველები, რომელსაც გადაეცა სახლები 4000 მანეთი ვალით.

ვინაიდან ძველს გამგეობას არ ჰქონდა ცნობები სახლების მდგომარეობის შესახებ, ახალ შემადგენლობას მოუხდა დაწვრილებითი აღწერა ყველა სახლების და მათი მოწესრიგება-განაწილება ისე, რომ გამოყენებული ყოფილიყო სახლების ყოველი დაუსახლებელი კუნჭული. ამისათვის კი აუცილებელი შეიქნა რემონტი, რაც საკმაო თანხას საჭიროებდა.

გამგეობამ მოახერხა კრედიტი მიეღო კომმუნალური ბანკიდან—30.000 მანეთი, ს. მ. უ. ს—დან ნისიათ ხე-ტყის მასალა (10 ათასი მანეთის), ხოლო ქალაქის აღმასკომმა კოოპერატივს მისცა 18 ათასი მანეთის დოტაცია, „ცენტროსოიუზ"-მა 5 ათასი მანეთის კრედიტი. იანვრიდან დაიწყო სესხის გასტუმრება. ხოლო ამ დროისთვის შემოღებული იქნება ბინებზე მოსკოვის ტარიფი, რაც კოოპერატივს ყოველთვიურად მისცემს 6 ათას მანეთს.

დადგენილებანი.

საბინაო-საამშენებლო კოოპერაციის შესახებ რეზოლიუციის გამოსამუშავებლად თათბირი ირჩევს კომისიას, ხოლო საბინაო კოოპერატივის მოქმედებას თათბირი დამაკმაყოფილებლად სცნობს და გამოსთქვამს სურვილს, რომ კოოპერატივმა მალე მოაწყოს და შეაკავშიროს სახლის კომიტეტები.

მეოთხე სხდომა

ჩვენი მრეწველობა

(მომხსენებელი ამხ. ჟუჟიკაშვილი)

საქართველოს სამრეწველო წარმოებათა შესახებ მოხსენებას კითხულობს ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე ამხ. ჟუჟიკაშვილი, რომელიც აღნიშნავს ნედლეული მასალის სიმცირეს და ამით გამოწვეულს დატვირთვას ჩვენი საწარმოო დაწესებულებებისას 600 პროცენტით. შემდეგ მომხსენებელი ეხება ცალკე წარმოებათა მდგომარეობას და აღნიშნავს მათ დადებით და სუსტ მხარეებს.

ლითონის განყოფილება.

ლითონის განყოფილება ამ ჟამად ცუდ მდგომარეობაშია. საბჭოს სურდა ლითონის განყოფილება და არსენალი შეერთებია ერთ გამგეობაში, რომ ეს ორი განყოფილება წესიერ ნიადაგზე დაგვეყენებია. მაგრამ შეერთება ვერ მოვახდინეთ, ვინაიდან ისინი, თანხის უქონლობის გამო, იმავე მდგომარეობაში დარჩებოდენ, როგორშიც ამჟამათ არიან. ჩვენი ყურადღება მეტ ნაწილად მიქცეულია ფერო-მარგანეცის საკითხის მოგვარებაზე. ამის შესახებ გვქონდა მოლაპარაკება საკავშირო რესპუბლიკების უმაღლეს მეურნეობის საბჭოსთან, რომელიც გვპირდება 3.000.000 მან. იმ ანგარიშით, რომ ჩვენ ამ თანხას უნდა დაუმატოთ 2 მილ. მან.; თუ ფერო-მარგანეცის ქარხნის გახსნა მოვახერხეთ ეს დიდი მიღწევა იქნება საბჭოთა საქართველოსთვის.

თამბაქოს ტრესტი

თამბაქოს წარმოების განვითარების პირობები ხელს გვიწყობს. საქმის მოწყობა ჩვენ ცოდნაზე და მოხერხებაზეა დამოკიდებული.

მენშევიკების დროიდან დაგვრჩა 80.000 ფუთი თამბაქო. ეს თამბაქოს მარაგი 23 წლის ბოლო ხანებამდე გვეყო. ეხლა საკითხი დგას ახალი მარაგის შეძენის შესახებ. ამ ხანებში გადაგზავნილია 120.000 მან. თანხა, კიდევ უნდა გადავგზავნოთ სულ გვინდა მოვიმარაგოთ 10.000 ფ. თამბაქო. ჩვენი თამბაქოს ნაწარმოებმა დაიპყრო თითქმის აზერბეიჯანის ბაზარი და შავი ზღვის ჩრდილოეთი მხარე თითქმის ოდესამდე. ჩვენ გვქონდა დავალიანება. მეტი წილი ვალის იყო ფინანსთა კომისარიატის. ვალი უკვე გაუქმდა დეკრეტით. ამ ჟამათ ჩვენი დავალიანება უდრის 400.000 მან., მაგრამ ეს ვალი არ გვაშინებს ვინაიდან ერთი მილიონ. მან. საქონელი უკვე დამზადებული გვაქვს.

ტყავის ტრესტი.

ჩვენ ტყავის ქარხნებში ავიყვანეთ წარმოება 60—70 პროც. მეტ წარმოების განვითარებას ვერ შევძლებთ ნედლი მასალის უქონლობის გამო. თფილისში ამ ჟამათ იკვლება 1050 ოთხფეხი საქონელი. ჩვენ ამდენ ტყავს ვიღებთ საშვალოთ დღიურათ. მაგრამ ომამდე არსებულ წარმოებით რომ ვიანგარიშოთ, ჩვენ გვჭირდება დღიურათ 2.500 ცალი ტყავი ყოველ დღე, ამდენს ვერ ვშოულობთ, რაც ამოკლებს წარმოებას.

ღვინის ტრესტი.

ღვინის ტრესტის მდგომარეობა პირველ ხანებში ცუდი იყო. ეხლა მუშაობა ცხოველდება და აღწევს დასახულ მიზანს.

ჩვენი ყურადღება მიქცეული იყო სპირტის წარმოების განვითარებაზე. პურის სპირტზე დიდი აქციზი იყო დადებული, მაგრამ ა | კ. უმაღ. ეკონ. საბჭოს საშუალებით შევძელით აქციზის დაკლება.

ჩვენ გვინდა გავაძლიეროთ ჭაჭის არაყის და სპირტის გამოხდა.

გვინდა ვიქონიოთ დამოკიდებულება სოფლის გლეხებთან, რომ მათ დავეხმაროთ მაგარ სასმელების გასაღებაში და არ ჩავაგდოთ ისინი კერძო პირთა ბრჭყალებში.

საპნის ტრესტი

ჩვენი საპნის ქარხნების მდგომარეობა, ნედლი მასალის უქონლობის გამო, ვერაა სასურველ პირობებში. ყველაფერი საყიდელი გვაქვს და ფულიც რომ იყოს საყიდლათ, ნედლი მასალა არ იშოვება.

შავი ქვა.

ჩვენი მთავარი მიზანი იყო შავი ქვის მაღაროები კერძო პირებიდან ჩამოვვეცილებია და სახელმწიფოს ხელში გადაგვეცა. ჭიათურის მაღაროების ბატონ-პატრონები უცხოელ და ჩვენი აქციონერები იყვნენ, ისინი დიდ თანხებს იღებდენ. საშვალოთ მათი მოგება წლიურად 15 მილ. მანეთს უდრიდა.

მთელი მაღაროების მეტი ნაწილი გადმოვიდა ჩვენს ხელში.

როგორია ეხლა შავი ქვის წარმოება? ჩვენ ხელში არაა დიდი ხანი, რაც გადმოვიდა მაღაროები. ჯერჯერობით წარმოებას კარგი პირი უჩანს, აქ ჩამოსული არიან ამერიკის დიდი მწარმოებლები. უნდათ მოგველაპარაკონ შავი ქვის ექსპლოატაციის მიზნით. ჩვენ საკითხს უდგებით ფრთხილათ, რომ შეცდომაში არ ჩავარდეთ.

აღმშენებლობითი მუშაობა.

ჩვენ ვაშენებთ შროშაში აგურის ქარხანას, მალე დამთავრდება ქუთაისის მაუდის საქსოვი ფაბრიკა. ამ ფაბრიკის შესახებ ხშირათ გვეკითხებიან, რათ დაგვიანდა მისი მოთავება, მანქანები მივიღეთ რუსეთიდან. ზოგიერთი კარგი არ გამოგვადგა. ამ წლის აგვისტოსთვის დაიდგმება მანქანების ერთი მესამედი. დანარჩენი უნდა გამოვიწეროთ, გერმანიიდან.

სოციალური დაზღვევა

(1924 წ. პირველი ნახევრის ანგარიში)

მიმდინარე 1924 წლის პირველ ნახევარში საგრძნობლად გაფართოვდა სოციალური დაზღვევის კასის მოქმედება.

დაზღვევის ახალი პუნქტები.

ამ საანგარიშო პერიოდში დაწესებულ იქნა დახმარების ყოველდღიური დარიგება. ორთაჭალის და ვერის რაიონში გაიხსნა დახმარების დასარიგებელი პუნქტები. აგრეთვე დამზღვევი კასის ტრამვაის განყოფილებასთან გაერთიანებულ იქნა ახლობელი რაიონის ფაბრიკა-ქარხნები. ზემოჩამოთვლილი ზომების საშუალებით შესაძლებელი გახდა ალკვეთა დიდი ხნით რიგში დგომისა, რომელიც დახმარების მიმღებთა უკმაყოფილებას იწვევდა.

დახმარების ზრდა.

საგრძნობლად გაიზარდა კასის ხარჯები დახმარების გაცემის დარგში.

1924 წლის პირველ ნახევარში დროებით შრომის უნარდაკარგულთ მიეცათ საერთოდ 170.797 მანეთი დახმარება. ხოლო გასული წლის განმავლობაში ამ მიზნით დაიხარჯა სულ 259,120 მანეთი. დამატებითი სახის დახმარებაზე 1924 წლის პირველ ნახევარში დახარჯულია—63,302, ხოლო მთელი 1923 წლის განმავლობაში კი—10,017 შრომის ინვალიდებზე პენსიად გაცემულია 24 წ. პირველ ნახევარში—46,158 მან., ხოლო 23 წლის განმავლობაში—52,724 მანეთი.

დაავადმყოფიანება.

აღსანიშნავია პირველად დაავადმყოფიანების ზრდა. 1921 წელს დაავადმყოფიანობა უდრიდა 4,824 კაცს, 1922 წ.—5,974, 1923 წელს—8,990, ხოლო 24 წლის პირველ ნახევარში—5,894. დაავადმყოფიანობის რიცხვის ზრდა არ აიხსნება თბილისის მშრომელი მასების ჯანმრთელობის გაუარესებით. ამ მოვლენის მიზეზი არის ის გარემოება, რომ დამზღვევი კასა უფრო დაუახლოვდა მშრომელ მასას, რომელმაც გაიცნო მისი დანიშნულება და სარგებლიანობა. ამის გამო დღეს იგი უფრო ხშირად მიმართავს კასის დახმარებისათვის.

სიკვდილიანობა.

დაავადმყოფიანების რიცხვის ზრდასთან ერთად უკანასკნელ წლებში თანდათან მცირდება სიკვდილიანობის შემთხვევები.

1921 წელში ყოველ 10.000 კაცზე ყოველწლიურად კვდებოდა საშუალოდ 126 კაცი. 1924 წ.—94, ხოლო 1923 წელს 74 კაცი. ხოლო 1924 წლისთვის სიკვდილის შემთხვევები შედარებით წინა წლებთან კიდევ უფრო ნაკლებია.

დაბადებათა რიცხვის გადიდება.

მშრომელი მოსახლეობის ყოფაცხოვრების გაუმჯობესების მეორე მაჩვენებელი არის დაბადებიანობის გადიდება და მისი სიკვდილიანობაზე გადაჭარბება. 1924 წლის პირველ ნახევარში დაბადებულთა რიცხვი სჭარბობს გარდაცვლილთა რიცხვს 1228, ხოლო 1923 წელს დაბადებულთა რიცხვი ემატებოდა გარდაცვლილთა რიცხვს—1269, 1922—218 კაცით, ხოლო 1921 წელს გარდაცვლილთა რიცხვი აღემატებოდა დაბადებულთა რიცხვს 434 ადამიანით.

„კომუნისტი"

მიიღება ხელის მოწერა აგვისტოსათვის

მუშა-მოსამსახურეებისათვის, წ.-არმიელებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის თბილისში და პროვინციაში გაგზავნით გაზეთი ღირება:

1 თვით 65 კაპ. 2 თვით—1 მან. 10 კაპ. 3 თვით—1 მან. 80 კაპ. 6 თვით—3 მან. 60 კაპ.

ყველა დანარჩენებისათვის გაგზავნით

თბილისში
(ბინაზე მიტანით)

1 თვით		85 კაპ.
2 „	1 მან.	60 „
3 „	2 „	40 „
წლის ბოლომდი	3 „	95 „

პროვინციაში
(გაგზავნით)

1 თვით		95 კაპ.
2 „	1 მან.	80 „
3 „	2 „	70 „
წლის ბოლომდე	4 „	45 „

ყველა ხელისმომწერნი მიიღებენ უფასოთ „კომუნისტი"-ს ორკვირეულ სალიტერატურო სამხატვრო დამატებას „ჩირაღდანს"

წითელ ჯარში

ჩვენი ლეგიონის ცხოვრება

ჩვენი 1-ლ ლეგიონის ცხოვრება ბანაკად უკვე ნორმალურ კალაპოტში ჩადგა.

ბანაკის მოწყობა დამთავრდა, გალამაზდა ყოველმხრივ, მხოლოდ წყლის ნაკლულოვანებაა და ამის მოსაწესრიგებლად უკვე ზომებია მიღებული.

მოეწყო ლენინის კუთხეები, რომელნიც პოლიტიკურ სულიერ საზრდოს აწვდიან ჩვენს არმიელებს პოლიტხელთა დაუღალავი მუშაობით. კლუბი შეკეთდა. სისტემატიურად იმართება საღამო-წარმოდგენები, ამუშავდენ წრეები ორმაგის ენერგიით და დაფაცურდენ წრეების ხელმძღვანელები. სცდილობენ არ ჩამორჩენ ერთმანეთს და ამ შეჯიბრებაში საქმე წინ მიდის.

ჩვენი კედლის გაზეთები სისტემატიურად გამოდიან და თანდათან გამოკეთება ეტყობათ. ბიბლიოთეკა მუდამ თავის სიმაღლეზე ითვლებოდა. მაგრამ ეხლა უფრო გააცხოველა მუშაობა, გამოცდილი გამგის თაოსნობით.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ჩქარის ტემპით მიმდინარეობს.

კომუჯრედის მუშაობა ნაყოფიერია და მრავალ ამხანაგებს იკრებს თავის გარშემო. კომუჯრედი ხშირად ახდენს ღია კრებებს და აწარმოებს სისტემატიურ მუშაობას უპარტიო წითელ არმიელებში.

უფ.-პოლიტ შემადგენლობა ყოველ მხრივ სცდილობს ააყვავოს ლეგიონი. დამოკიდებულება მათსა და წითელარმიელებს შორის დიდებულია.

ჩვენს ლეგიონს ძმური კავშირი აქვს მეზობლად მობანაკე, რუსულ პოლკთან და სადარაჯო ათასეულთან ყველა კომპანიებს თითქმის ერთად ვატარებთ და საღამო-წარმოდგენებზე ერთი-მეორეს ვსტუმრობთ და გამოვდივართ საღამოებზე—ლექსებით სიმღერებით და სხვა.

არტილერისტებში

პირველი ქართული საარტილერიო დივიზიონი უკვე გავიდა საკარვოდ.

გამშვენიერდა ბანაკი. მოეწყო ბიბლიოთეკა, „წითელი კუთხეები" ამუშავდენ წრეები.

შევუდექით წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას.

ჩვენი უფ. და პოლიტ-შემადგენლობა დიდს ენერგიას იჩენს დივიზიის ყოველ მხრივ კარგად დაყენებისათვის. ახალწვეულები ხალისიანად ეკიდებიან მუშაობას, დიდი მისწრაფება აქვთ სწავლისა და ყველანი წრეებში მეცადინეობენ.

კლუბებსაც მალა ავამუშავებთ, ძალები კარგები გვყავს.

მალე გამოვა ჩვენი კედლის გაზეთი.

ვ. კ—ი.

საბჭოთა სასამართლო

უზენაეს სასამართლოში

ნოე ძიძიშვილის საქმე

გუშინ, 25 ივლისს, უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულო შეუდგა ნოე ძიძიშვილის საქმის განხილვას.

ხსენებულ ნოე ძიძიშვილს მისჯილი ჰქონდა ოლქის სასამართლოს მიერ თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლით (ამნისტიების შეფარდებით) არასრულწლოვან ქალიშვილის—ხვედელიძის გარყვნისათვის (173 მუხ.). მსჯავრდადებულმა საქმე გადაიტანა საკასაციო საკრებულოში.

კასაციის საბაბათ წამოყენებულია შემდეგი გარემოებანი: 1) არ იყო დანიშნული ექსპერტიზა ბრალდებულის ფსიქიურ და სქესობრივ თვისებების გამოსარკვევათ, 2) დაზარალებულს, როგორც არა სრულწლოვანს, არ ჰქონდა უფლება აღეძრა ბრალდება, 3) სასამართლოს ძიებისა არ იყო შესრულებული ბრალდებულისათვის ხელსაყრელი ზოგიერთი სავალდებულო წესი.

საქმის შედეგი გამოქვეყნებული იქნება ხვალ.

ლუკიანოვის საქმე

ამა წლის 24 ივლისს რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ვ. წივწივაძე, წევრნი: ლ. მიროტაძე და შ. გალდავა, პროკურორი მაჭავარიანი და მდივანი მ. იმედაშვილი,—მოისმინა ოლქის სასამართლოში გასამართლებულ ლუკიანოვის საქმე.

ჩვენს გაზეთში მოთავსებული იყო ამ საქმის ანგარიში. ლუკიანოვს ბრალათ ედებოდა ელიოზოვის მოკვლა (ს. ს. კ. 147 მუხლი) და წინააღმდეგობა მილიციისადმი, რაიც იმაში გამოიხატა, რომ ლუკიანოვმა ელიოზოვის მოკვლის შემდეგ გაქცევა განიზრახა და მისი დასაჭერათ დადევნებულ მილიციონერს სროლა აუტეხა (ს. ს. კ. 88 მუხ. 1 ნაწ.) ასეთი იყო ოლქის სასამართლოს განაჩენში მოყვანილი მოსაზრებები, რომელთა მიხედვით ლუკიანოვს მისჯილი ჰქონდა ორმაგი სასჯელი: ერთი — მკვლელობისათვის, ხოლო მეორე—ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობისათვის. უკანასკნელი ბრალდება უზენაესმა სასამართლომ არ სცნო დამტკიცებულათ: პირიქით, საქმეში მოიპოვება ცნობები, რომ ლუკიანოვს რევოლვერში ჰქონდა მხოლოდ ერთი ტყვია, რომლითაც მან მოჰკლა ელიოზოვი. გარდა ამისა შეიარაღებულ წინააღმდეგობის ფაქტს ადასტურებს მხოლოთ ერთი მოწმე და ისიც მეტად ბუნდოვნათ, მეორე მოწმე კი (მოწმე ანენჩენკო) ამ ფაქტს უარყოფს. ამ მოსაზრებით უზენაესმა სასამართლომ გაანთავისუფლა ლუკიანოვი მეორე ბრალდების მიხედვით დადებულ სასჯელისაგან (5 წელიწადი). გარდა ამისა სასამართლომ უარჰყო ოლქის სასამართლოს განაჩენის ის ნაწილი, რომელშიაც იგი შუამდგომლობას სძრავს ცაკის წინაშე ლუკიანოვის მიმართ ამნისტიების შეუფარდებლობის შესახებ, რის გამო საკასაციო საკრებულომ შეუფარდა მსჯავრდადებულს ორი ამნისტია და დაუტოვა მას სასჯელათ თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და 8 თვით წინასწარ პატიმრობის ჩათვლით.

მეცნიერება-ტეხნიკა

მარსის მოახლოება.

მარსის შესწავლა დაიწყო ჩქარა ასტრონომიულ მილის გამოგონების შემდეგ. 1,637 იტალიელმა ასტრონომმა ფონტანამ შეამჩნია პირველი შავი ლაქა მარსზე და პლანეტის ფორმის ცვალებადობა. ამით მან საბოლოოთ დაამტკიცა, რომ მარს საკუთარი სინათლე არა აქვს და სინათლეს მზისაგან იღებს.

რამდენიმე წლის შემდეგ მეცნიერმა გიუგენსმა გააუმჯობესა მილი და გამოარკვია მარსის თავისი ღერძის ტრიალის დრო.

— 24 საათი 37 წუთი და 23 წამი. 1704 წელს ასტრონომმა მორალდიმ შენიშნა თეთრი ადგილები მარსის პოლიუსებზე და ახსნა ის თოვლის დნობით. და მართლაც, როცა მარსზე ზაფხულია, თეთრი ადგილები მარსის პოლიუსებზე ჩქარა თითქმის ქრებიან.

მიმდინარე წლის 6 მარსიდან მარსზე სამხრეთ ნაწილში დადგა გაზაფხული, 30 სექტემბერს იქ გაზაფხული დადგება.

მეცხრამეტე საუკუნეში ასტრონომიული მანქანები სწრაფად უმჯობესდება და მეცნიერებიც უფრო მეტს ცნობებს აგროვებენ პლანეტის შესახებ. გამოირკვა, რომ მარსზე არსებობს ატმოსფერა, შემჩნეული იქნა ღრუბლები და ნისლი. დედამიწის მსგავსათ მარსზე არსებობს სარტყლები—ცხელი, ზომიერი და ცივი ჰავით.

დედამიწისა და მარსის გზები მზის გარშემო ბრუნვის დროს, ერთ ადგილზე ახლოვდებიან, 15 წელიწადში ერთჯერ კი მანძილი მათ შორის მაქსიმალურად მცირდება.

აი ამ „მიახლოვების" დროს ასტრონომებმა აღმოაჩინეს მარსის თანამგზავრები და ე. წ. „არხები", რომლებიც მეცნიერებს შორის ასეთ დიდ კამათს იწვევენ.

1877 ვაშინგტონელმა ასტრონომმა ხოლმა მარსის ახლო აღმოაჩინა ორი სწრაფად მოძრავი პატარა ვარსკვლავი—მარსის თანამგზავრები—მთვარეები, რომლებსაც უწოდეს ძველი სახელები ფობოსი და დეიმოსი.

მილანელმა ასტრონომმა სკიაპარელიმ 1877 წელში აღმოაჩინა მარსზე პირველი „არხები"—სწორი ხაზები, რომლებიც იწყებიან იმ ადგილებში, სადაც მეცნიერების აზრით მარსზე ზღვები არის. ეს არხები განსაკუთრებით კარგათ სჩანან, როცა მარსზე თეთრი ლაქები ქრებიან. მეცნიერებს აქედან ის დასკვნა გამოყავთ, რომ თოვლის დნობის გამო არხები წყლით ივსება და იმიტომ სჩანან ასე კარგათო.

მარსი თითქმის უდაბნოს წარმოადგენს. წითელი ფერი ბევრათ არის გამოწვეული მისი ზედაპირით. თუ იქ არის ცხოვრება, ამისათვის საჭიროა წყალი. ეს წყალი ჩნდება თოვლის დნობიდან და არხებით რწყავს მთელი მარსის ზედაპირს (ლოუელის აზრით).

მარსზე არ არის სქელი ღრუბლები. თუ მარსზე არსებობს სიცოცხლე, მეცნიერების აზრით იქ არ შეიძლება არსებობდენ ადამიანის მსგავსი არსებანი. ატმოსფერა იქ თხელია, ჰაერის შემადგენლობა, ტემპერატურა და სიმძიმის ძალა იქ სულ სხვანაირია ვიდრე დედამიწაზე.

საშინელ სიცივეს იგრძნობდა ადამიანი, რომელიც მარსზე მოხვდებოდა. მისი წონა ძლიერ შემცირდებოდა (სიმძიმის ძალა მარსზე უფრო სუსტია ვიდრე დედამიწაზე)—4-დან ერთნახევარ ფუთამდი. მაგრამ ეს იმას სრულიად არ ამტკიცებს, რომ მარსზე არ შეიძლება ცოცხალი არსებანი იყვნენ ბუნება მრავალ მაგალითს იძლევა იმისას, თუ როგორ შეუძლია ცოცხალ ორგანიზმებს შეეგუონ, ადამიანის აზრით, ცხოვრების „უსაშინელეს" პირობებსაც.

ყოველი თუთხმეტი წლის შემდეგ ჩვენ ახალ-ახალ ცნობებს ვიღებთ მარსის შესახებ. მაგრამ მიმდინარე წლის, 23 აგვისტოს მარსი არაჩვეულებრივათ ახლო იქნება, დედამიწისაგან—55 ნახევარ მილიონ ვერსზე. ასეთი მდგომარეობა მხოლოდ 284 წლის შემდეგ განმეორდება.

ამ ჟამად მარსი არაჩვეულებრივის სისწრაფით გვიახლოვდება ჩვენ (საათში 80,000 ვერსის სისწრაფით). ახლა მისი სიდიდე 50-ათჯერ უფრო დიდია, ვიდრე წლის დასაწყისში იყო.

ყველა ქვეყნის ასტრონომები ენერგიულათ ემზადებიან ამ დღისათვის. ყველაზე უფრო უკეთესი პირობები ამ დროს მარსის შესასწავლათ იქნება ჩილის რესპუბლიკაში (სამხრეთ-ამერიკა).

ქრონიკა

— **კონკურსი ა | კ. სახკომსაბჭოს შენობის ასაგებათ.** ოთხშაბათს, 30 ივლისს, დღის 2 საათზე, სასახლეში (ოთახი № 9) შესდგება კომისიის სხდომა, რომელმაც უნდა შეიმუშაოს კონკურსის პირობები ამიერ. კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს სახლის აგების პროექტისათვის.

აღნიშნულ სხდომაზე მოწვეულნი არიან ხუროთ მოძღვრები—მხატვრები: ჩუბინაშვილი, მარჯანიშვილი, შევარდნაძე, ტამანოვი, ტერ-მიკაელიანი, კალგინი, ბაევი და ბუზ-ოღლი.

— **პური ამიერ - კავკასიისათვის.** ა. | კ. სახელმწიფო ბანკის სახელზე ჩრდილო-კავკასიიდან თბილისისათვის გამოიგზავნა 42 ვაგონი ფქვილი და 5 ვაგონი—განჯისათვის. ამ დღეებში ლენინკანისათვის გამოიგზავნეს 10 ვაგონი ფქვილი.

— **ა- | კ. სახელმწიფო გამომცემლობის გამგეთა თათბირი.** 29 ივლისს თბილისში შესდგება ა.—კ. სახელმწიფო გამომცემლობის გამგეთა თათბირი. თათბირმა უნდა გამოიმუშაოს წესდება პარტიული გამომცემლობის მოსაგვარებლათ, და საერთოდ გამომცემლობის გეგმა და სხ.

— **მსოფლიო ომის 10 წლის თავი.** პროფკავშირთა საბჭომ კულტგანყოფილებას წინადადება მისცა კავშირთა წევრებს შორის ჩაატაროს კამპანია მსოფლიო ომის 10 წლის თავის შესახებ. მუშათა კლუბების ცენტრალურ გამგეობას აგრეთვე დაევალა ამ დღეს კლუბებში მოაწყონ შესაფერი საღამოები და ლექციები.

— **აბრეშუმის პარკის ოპერაციების საწარმოებლათ.** ცეკავშირს, აბრეშუმის პარკის ოპერაციების საწარმოებლათ, სახელმწიფო ბანკმა სესხის სახით გადასცა 300,000 მან., ხოლო მიწად-მოქმედების კომისარიატმა გადასწყვიტა ცეკავშირს ამავე მიზნით დამატებით მისცეს სესხად 51,000 მან.

— **ახალი ავტომობილები საზღვარ-გარეთიდან.** თბილისში ამ დღეებში რომიდან მიიღებენ 65 ახალ ავტომობილს „ფიატის" სისტემისას. აღნიშნული ავტომობილები გამოყენებული იქნება მაზრებთან და ახლომახლო დაბა-ქალაქებთან სამიმოსვლო კავშირის დასაჭერათ.

— **ტრამვაი თბილისიდან კოჯორ-მანგლის-წალკამდე.** მუშავდება პროექტი ფუნიკულიორიდან კოჯორ-მანგლის-წალკამდე ტრამვაის გასაყვანათ. პირველ ხანებში ტრამვაის ხაზი გაყვანილი იქნება კოჯორამდე, შემდეგ მანგლის-წალკამდე. ტრამვაის ხაზზე გარდა სამგზავრო ვაგონებისა, ივლიან საბარგო ვაგონებიც.

— **კოოპერატივების მოწყობა სოფლად.** ცეკავშირის მიერ საგანგებოთ გამოყოფილი კომისია იმუშავებს პროექტს სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატთან ერთად, სოფლებში გლეხკომების დახმარებით კოოპერატივების მოსაწყობათ.

— **წყალსადენი კოჯორში.** კოჯორში წყალსადენის მოსაწყობათ, გუშინ ადგილობრივ გაემგზავრა ქ. აღმასკომის სპეციალური კომისია.

— **გორის სასაკლაო.** ერთი თვის განმავლობაში გორში დაიკლა 554 საქონელი, სასაკლაოდან დარჩა წმინდა მოგება 197 მან.

— **დახმარება მაზრებს.** ჯანმრთელობის კომისარიატმა გადასდო 5.000 მან. მაზრებში არსებულ საექიმო პუნქტების მუშაობის გასაცხოველებლათ.

— **მეთამბაქოეთა ამხანაგობა.** ლაგოდეხის რაიონში დაარსებული ამხანაგობა „შველა" აერთიანებს 700 მეთამბაქოეს.

— **ძროხების ჯიშის გამორკვევა.** ქ. აღმასკომის კომუნალურ განყოფილებამ მოახდინა ძროხების ჯიშის გამორკვევა მეტი და კარგი ხარისხის რძის მოცემის გამოსარკვევათ. ყველაზე უფრო კარგი ჯიშის გამოდგა ხევსურეთის ჯიშის ძროხა.

— **ტელეფონები სოფლად.** ახალციხის მაზრაში მოეწყო ტელეფონის ქსელი, რომელიც მაზრას აერთებს ყველა დიდ სოფლებთან.

— **კინო-დასი კოტე მარჯანიშვილის რეჟისორობით.** კ. მარჯანიშვილი შეუდგა კინო-დასის შედგენას. დასის შედგენის შემდეგ მარჯანიშვილი შეუდგება ქართული კინო სურათების გადაღებას.

— **სიმინდის გატანა საზღვარ-გარეთ.** აჭარის სახ. კომისართა საბჭომ „პურის ექსპორტს" დაავალა საზღვარ-გარეთ გაიტანოს 40,000 ფ. სიმინდი სხვადასხვა აუცილებელ საჭირო საგნებზე გადასაცვლელათ.

— **სამოსახლო ადგილების დარიგება.** გორის სამაზრო აღმასკომმა აპრილიდან ივნისის ბოლო რიცხვებამდე უმიწაწყლო გლეხებზე გასცა 10 სამოსახლო მიწა ქალაქში, ხოლო ქალაქ გარეთ 308, და სადგურის ფარგლებში 42 ნაკვეთი მიწა.

— **ფეხთ-სამოსი გლეხებს.** გორის სახარაზო სახელოსნომ დაამზადა 1282 წყვილი ჩუსტი და 234 ქალამანი, რომლებიც უკვე დაურიგდათ გლეხებს ხელმისაწვდომ ფასებში.

— **გლეხთა კომუნები.** ახალქალაქის სამაზრო გლეხკომმა აიღო რამდენიმე ბაღი, რომლებიც დასამუშავებლათ გადასცა გლეხთა კომუნებს.

— **დახმარება უმუშევართ.** დღეს 26 ივლისს უმუშევართა დამზღვევი განყოფილება გასცემს ივლისის თვის დახმარებას საბჭოთა მუშაკების სექციის უმუშევრებზე.

— **ზაჰესის საჭიროებისათვის** ივნის-ივლისის განმავლობაში ზემო-ავჭალაში ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის საჭიროებისათვის აგებული იქნა ახალი ხე-ტყის საწყობი და ბარაკები 150 კვად. საჟენის მანძილზე

— **სკოლების შეკეთება.** ავჭალის გლეხკომმა შუამდგომლობა აღძრა ქ. აღმასკომის წინაშე, რათა გაიღოს 3000 მან. ზემო-ავჭალაში სკოლების საფუძლიან შესაკეთებლად.

— **ტრამვაის ვაგონები.** ივლისის განმავლობაში მუშაობდა 62 ტრამვაის ვაგონი, აქედან 42 მოტორიანი და 20 მისაბმელი ვაგონი.

— **ჭიათურის მუშათა კოოპერატივი.** ჭიათურის მუშათა კოოპერატივში ერთი თვის განმავლობაში ჩაეწერა 5675 მუშა.

— **მუშათა კლუბი.** საამშენებლო მუშათა კავშირმა გადასდო 800 მან ჩუღურეთში მუშათა კლუბის მოსაწყობად.

შემთხვევები.

— **ქურდობა.** 22 ივლისს, ღამით დუშეთის ქ. № 6 გაქურდეს წუმწუმის ქარხანა, წაღებულია 500 კოლოფი წუმწუმა, ეჭვით შეიპყრეს დარაჯი დ. ალავიძე.

23 ივლისს დღით გრიბოედოვის ქ. № 10 გაქურდეს იოსებ. პაპაშვილის ბინა. წაღებულია 50 მ. ნივთები

მუშათა ცხოვრება

რა სადილია ეს?

(საქ. პროფსაბჭოს საყურადღებოდ).

ა—წ. 22 ივლისს მცხეთის დამსვენებლებს მოგვიტანეს სადილათ ადუღებული წყალი, რაც შეღებილი იყო მწვანილით და რაშიაც ტივტივებდა პატარ-პატარა ნაჭერი ხორცი: ჩვენს შეკითხვაზე, გვიპასუხეს: ეს არის „ტურეცკი სუპიო". შემდეგ მოიტანეს მეორე კერძი პატარა ნაჭერი ხორცით და სამი ნაჭერი ქართოფილი. ეს „ვტოროიაო". ბოლოს მოიტანეს ოთხ-ოთხი ცალი ჭერამი ეს „დესერტიაო".

ამნაირი სადილი ხშირია ამ დასასვენებელ სახლში, რაც არის მიზეზი იმ დიზინტერიის, რომლითაც ნახევარი დამსვენებლები ავად არიან. მოსადილეთა კომისია უმწეოა ამ მდგომარეობის გაუმჯობესებაში, ვინაიდან მათ არასფერი გაეგებათ სადილის ავკარგიანობაში.

საჭიროა მეტი ინტენსივობა ადმინისტრაციის მიერ, თორემ ამნაირი სადილებით საწინააღმდეგო შედეგებს მივაღწევთ, ვინაიდან დიზინტერიით ავადმყოფები ვერ მოიმატებენ და ვერც დაისვენებენ, რაც დიდათ საზარალო იქნება მშრომელთა და წარმოებისათვის.

მუშკორი ა. განიძე.

სიმართლე არ დაიმალება.

(უზენაეს სასამართლოს საყურადღებოდ).

ა—წ. 15 ივლისს მე 10 უბნის სახალხო სასამართლოში გაირჩა შემდეგი საქმე: 26 აპრილს საღამოს 10 საათზე გოგილევის ქუჩაზე № 26 სახლებში ჰქონდა ადგილი ერთ საზიზღრობას. („კომუნისტი"-ს № 111-ში იყო მოთავსებული წერილი ამის შესახებ სათაურით „მუშის ხმამ უნდა გასჭრას") და ჩვენ როგორც ვხედავთ მუშის ხმა ყოველთვის სჭრის საბჭოთა ხელისუფლების დროს. ფეოდორ მიხაილოვს და ლაზარ მიხაილოვს, ამ ორ დევ-გმირებს საშინლად ეცემნათ „კინო-აპოლოს", მომუშავე ქალის ოლღა სტეფანოვისათვის. ეს საქმე იყო გასარჩევებული სასამართლოში. ჩვენმა მუშურმა სასამართლომ გამოიჩინა ნამდვილი სამართლიანობა და თავის სხდომაზე 15 ივლისს ამ ორ ვაჟბატონებს მიუსაჯა შვიდ-შვიდი თვით დაპატიმრება მათივე მოწმების ჩვენებით.

მაგრამ, როგორც გავიგეთ, ამ ვაჟბატონებს გადაუტანიათ საქმე უმაღლეს სასამართლოში, ვითომ იქ ამ ვაჟბატონებს გაამართლებენ პატიოსან მშრომელ ქალის დამცირებისათვის. მაგრამ მე იმედი მაქვს, ზემოხსენებული სასამართლო ღირსეულათ გადახედავს მე-10 უბნის სასამართლოს 16 ივლისს გარდაგზავნილ ოქმს № 956 და ბოროტმოქმედებს დასჯის ღირსეულად.

ამასთან ერთად ვთხოვთ სასამართლოს მიიღოს ზომები იმ ორ ცრუ მოწმეების ტყუილ ჩვენების წინააღმდეგ, რომელნიც იქნენ მოყვანილნი ვაჟბატონების მხრივ. დარწმუნებული ვართ მათაც აჩვენებს პროლეტარული სასამართლო პროლეტარულ სიმართლეს.

მუშკორი გ. მ—შვილი.

მუშებო, ჩაეწერეთ კოოპერატივებში

კვება-გემოვნების № 3 ქარხ-ფაბკომის წევრთა საერთო კრებაზე. სადაც დაესწრო 180 წევრი, გაირჩა შემდეგი საკითხები:

1) მუშკოოპის შესახებ.

2) მიღება კავშირში ახალი წევრებისა.

3) მიმდინარე საკითხები.

ამხ. რაზმაძეს მოხსენებიდან აღმოჩნდა, რომ მუშკოოპის წევრები წინანდელთან შედარებით ძალიან შემცირებულან. ასეთი მოვლენა ჩვენთვის სამწუხაროა. მუშა-მოსამსახურეების მცირე ნაწილი ეწერება ხოლმე წევრებად. აქ ეტყობა სპეკულიანტებს გაუშლიათ თავისი ფრთები და მუშაობენ მუშკოოპის წინააღმდეგ, ჩვენ, მუშებისათვის, ეს დასაშვები არ არის. ჩვენ უნდა ხელი შეუწყოთ მუშკოოპის წინსვლას და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოთ ეკონომიურ ნიადაგზედ კერძო სპეკულიანტებს.

კრებამ ყველა საკითხები გადასინჯა და მიიღო სათანადო რეზოლიუცია მუშკოოპის წევრობაზე მუშისთვის აუცილებლობი' შესახებ.

პურის მცხობელი ნ—ზი.

რკინისგზელებში

ა | კ. რკ. გზების სამეურნეო სამასალო სამსახურის წარმონაწილი

სამეურნეო სამსახურის წარმონაწილის სახელოსნოების მნიშვნელობა წინანდებურად პირველხარისხოვანია, როგორც რკინისგზათა მოთხოვნილების შემსრულებელი ორგანოსი, რომელიც არამც თუ უზრუნველყოფილია სამუშაოებით, არამედ მისი რამოდენიმედ სახელოსნოები მოითხოვენ სამუშაოს გაფართოვებას. ამას სამწუხაროდ მუშა-ძალის და შენობის უქონლობა უშლის ხელს. პატრუქის სახელოსნო ლიკვიდაციაში მოჰყვა, პატრუქის საკმაო რაოდენობის უქონლობის გამო, ხოლო საბონდერო სახელოსნო შეკვეთების უქონლობის გამო გაუქმებულია, დატოვებულია ერთი „ბონდარი", რომელიც ხის დამამუშავებელ სახელოსნოსთან მუშაობს.

ის შეკვეთები, რომელნიც წარმონაწილს არ შეუძლიან თავის დროზე შესრულოს, გადადიან კერძო მიმწოდებლების ხელში.

მუშები და ხელოსნები, რომელნიც მუშაობენ უფრო მძიმე და საზიანო პირობებში, ყოველთვის ეძლეოდათ, თანახმად კოლექტიურ ხელშეკრულებისა, რძე, რძის ნაცვლად უკანასკნელ დროს, სანამ საუკეთესო ხარისხის რძე მოინახებოდეს, ეძლევათ კარაქი.

შავი მუშები მაქსიმალურად იღებენ მე 4 თანრიგით, რომელთა მთლიანი ნამუშევარი თვეში 7 თანრიგამდე აღწევს. წარმონაწილის საზინკლო სახელოსნო ემსახურება ყველა დანარჩენ სახელოსნოებს; აქ არაკვალიფიკაციურ მუშებს ეძლევათ სპეც-ტანსაცმელი. დარიგებულია წინსაფრები და ხელთათმანები. საერთოდ წარმონაწილის მუშაობა დამაკმაყოფილებელია. სახელოსნოებს გზებისთვის დიდი სარგებლობა მოაქვთ, რომელნიც ყოველგვარ დასამზადებელ საგნებს ამზადებენ მინიმალურ ფასებში, შედარებით ბაზრის ფასებთან.

ინფ. კო.

რკინისგზელთა ქრონიკა

— **უფასო სამგზავრო ბილეთები რკინისგზელთათვის.** საგზაო კომისიამ დაადგინა ნორმა უფასო და სასამსახურო ბილეთებით მგზავრობისათვის შემდეგი სახით: საჩქარო მატარებლებზე 10 პროც. (მატარებელში საერთო ადგილების მთელი რაოდენობიდან). საფოსტო და ადგილობრივი სახალხო მატარებლებზე 20 პროც., საგარეფერო მატარებლებზე—30 პროცენტი.

— **რონოდების შეკეთება.** გამოვიდა ბრძანება საქონლის რონოდების შეკეთების შესახებ. ვინაიდან რამოდენიმე უბანში პროგრამის შესრულებითი პროცენტი არ აღემატება 70 პროც., რაიც იწვევს საშიშროებას შემოდგომის პერიოდში პურეულის გადაზიდვის შეფერხებაში. ჩვენი მუშები რონოდების შეკეთების საქმეს აღფრთოვანებით შეხვდენ.

გამოგზავნილი წერილებიდან

ყურადღებას თხოულობენ.

(ჯანსახკომის საყურადღებოდ)

თვალის მთავარი საავადმყოფო, ფსიქიატრიული საავადმყოფო 1-ლი მე-2 საბჭოთა ინსტიტუტის მუშები დიდ გაჭირვებას განიცდიან. მათ ყურადღებას არავინ არ აქცევს. წარსული წლის ზედმეტი ნამუშევარი ჯერაც არ მიუღიათ. ჯამაგირსაც დროზე არ ღებულობენ, რის გამო არც ტანისამოსი აქვთ და არც საჭმელი ეს არ უნდა ხდებოდეს, ყურადღება მიაქციე ჯანმრთელობის კომისარო, და გამოიყვანე ის მუშები, რომლებიც არიან ჩაცვენილი ამნაირ ტანჯულ მდგომარეობაში. ჯამაგირები თვიურად არა უმეტეს ათი მანეთისაა და განა ამით თავის და ცოლშვილის რჩენა შეიძლება?

უხილავი.

თამბაქოს ტრესტი

აქა-იქიდან გვესმის ხმები ჩვენი ტრესტის კრიზისის შესახებ. ამის საწინააღმდეგოთ ვაცხადებთ, რომ კრიზისი განვიცადეთ წარსულ წლებში და არა ეხლა, როცა ჩვენი ტრესტი საუკეთესოდ არის დაყენებული. აქ მოიპოვება ბევრი ნედლი მარაგი, ორმოცდა ათი ათასი ფუთი სოხუმის თამბაქო და ბევრიც მოგვდის სხვადასხვა ადგილებიდან მუშები ჯამაგირს იღებენ თავის დროზე და მის გარდა ყველანაირ დახმარებას.

მუშა მ. უ—ძე.

მრავალტანჯული სკოლა

(განათლების სახკომის საყურადღებოდ).

სამტრედიის სადგურზე არსებობს ორი რკ. გზ. სკოლა. ერთი მათგანი მრავალტანჯულია შენობის უქონლობის გამო. იმ შენობას, საცა ის სკოლა იყო მოწყობილი, ხშირად აცლევინებდნენ და იქ ბინადრობდნენ ხან გვარდია, ხან საფრანგეთის და ინგლისის ჯარები და ბოლოს წითელი არმიელები. ასე რომ მუშაობა მთლად მივიწყებულია. მოწაფეთა რიცხვი აღწევს 550.-ს; სკოლებისლიკვიდაცია აუცილებელია, თუ შენობა არ გვექნება. უსკოლებოდ ბავშვები დარჩებიან თავის პატრონების ხელში და საეჭვოა შესძლებს პატარა სამტრედია ამ ბავშვების პატრონობას თუ არა.

ინფ. სამტრედიელი.

„კომუნისტი"-ს მუშკორებში

ა. წ. 24 ივლისს რედაქციის ბინაზე შესდგა „კომუნისტი"-ს მუშკორების მორიგი საზოგადო კრება. დღის წესრიგში იდგა: გაზ „მუშის" მე-500 ნომრის გამოსვლის ზეიმში მონაწილეობის მიღება და მიმდინარე საკითხები.

ძმური გაზეთის ზეიმის სათანადოთ ჩასატარებლად არჩეული იქნენ მუშები დელეგატები, რომელნიც აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას ზეიმში.

მუშკორთა ბიუროს დაევალა სათანადო მისალმების ვამოქვეყნება. შემდეგი კრება დანიშნულია 30 ივლისს.

მუშკორი ა. ნ.

მუშის ლექსიკონი

(უცხო სიტყვათა ახსნა).

ავტომატიური—(ბერძნული სიტყვაა) ნიშნავს თვითმოძრავს, მანქანისებურს, შეუცნობელ მოქმედებას.

ამორფული—(ბერძნ. სიტყვაა) ყოვლივე ფორმას მოკლებული, უსახური.

ამორალური—(ლათინური სიტყვაა) უზნეო, არაკეთილსინდისიერი, უმგვანო, უმსგავსო მოქმედება.

ანალოგიური—(ანალოგია)—(ბერძნული სიტყვაა) მსგავსი, შესაფერი, თანაბარი, შესაბამი, ერთნაირი,

ანომალია—(ანომალური)—(ბერძნ. სიტყვაა) ნიშნავს, უწესოებას, მანკს, წესების გადაცდენას,—ისეთს მოქმედება-ყოფა-ქცევას, რომელიც სრულებით არ ეთანხმება ჩვეულებრივ ბუნებრივ კანონ-თვისებებს.

ანსამბლი—(ფრანგული სიტყვაა) ურთიერთობა, შეწყობა-შეთანხმება, ერთსულოვნება. ანსამბლს უწოდებენ პიესა-წარმოდგენაში ყველა მსახიობთა შეწყობილ-შეთანხმებულ თამაშს.

ახალი სისტემის ტელეფონები თბილისში

თბილისში დაიწყეს მოწყობა ავტომატიური ტელეფონის, რომელიც მოქმედობს უტელეფონისტოდ და სხვა მუშაკების დაუხმარებლად. ტელეფონი ინახავს საიდუმლოდ მოლაპარაკებას და გარდა ამისა ძველ ტელეფონებთან შედარებით აქვს ის უპირატესობა, რომ სტიქიურ უბედურებათა დროს არ სწყვეტს მოქმედებას. მაგალითად დიდი ხანძარის დაწყების დროს, წყალდიდობის და ცროლის დროს ტელეფონი შეუჩერებლივ მოქმედებს.

ტელეფონების დადგმას თბილისში ხელმძღვანელობს ამ საქმისთვის მოსკოვიდან საგანგებოდ ჩამოსული ინჟ. ზამჩალოვი, რომელმაც ამ სამი წლის წინად პირველად დასდგა კრემლში ავტომატიური ტელეფონი. უკვე სამი წლის განმავლობაში ტელეფონი მუშაობს შეუჩერებლად და ემსახურება 200 აბონენტს საბჭოთა და პარტიულ დაწესებულებებს და მოსკოვის პასუხისმგებელ მუშაკებს. ამ ჟამად მოსკოვში ამ ტელეფონის აბონენტთა რიცხვი ორჯერ დიდდება ავტომატიური ტელეფონის აბონენტთა ქსელის გაფართოვება შეიძლება 10 ათასზე მეტ რიცხვამდე. მაგ. ბერლინში აბონენტთა უმრავლესობას აკმაყოფილებს ავტომატ. ტელეფონის სადგური, რომლის აბონენტთა რაოდენობა 10 ათას სჭარბობს.

ავტომატიური ტელეფონის აპარატი ისეთივე ჩვეულებრივია, როგორც ყველ ტელეფონის, მხოლოდ აპარატს ემატება კიდევ დისკო 10 ციფრით. თუ გამოძახებულ ნომერს არ სცალია, ამის შესახებ გამომძახებელს აცნობებს ტელეფონი ზარის რეკვით. თუ გამოძახებული ნომერი თავისუფალია, მაშინ გამომძახებელს ესმის საკონტროლო ზარის ხმა, რომელიც ეძახის მას, ვინც გამოძახებულია. გამოძახება მეორდება პერიოდულად ყოველ 10 წამში, ამავე დროს თვით ზარის რეკა გრძელდება ერთს წამს.

ავტომატიური ტელეფონის დასადგმელად გარდა ინჟ. ზამჩალოვისა, ჩამოსულია სამონტაჟო ჯგუფი 4 კაცისაგან და ავტომატ. ტელეფონის დადგმის მთავარი ხელმძღვანელი ამიერკავკასიაში ამხ. გერგარტი. ამ ჟამად თბილისში ავტომატიური ტელეფონის სადგური ეწყობა 100 ტელეფონისთვის. საჭიროებისამებრ შეიძლება გადიდებულ იქნეს 1000 აბონენტამდე.

ჯერჯერობით ტელეფონი დაიდგმება საბჭოთა და პარტიულ დაწესებულებებისათვის.

პროვინციაში

აცრით ვსპობთ ხუზარას

ს. გუჯარეთი (ბორჯომის რაიონი)

ამ ორი წლის წინათ ჩვენს საქონელს გაუჩნდა უსასტიკესი გადამდები სენი, საქონლის ჭირი (ჩუმა), რომელმაც ბევრს დაუცარიელა ბოსლები; საშინელ სურათს წარმოადგენდა დახოცილი საქონელი, როცა მათ თავს ადგა მტირალი პატრონი თავისი ცოლშვილით. მთავრობისაგან იქნა გამოგზავნილი ექიმი და ფერშალი ასაცრელი შრატით. აცრის საშუალებით მოსპობილი იქნა ეს სენი. წელს იჩინა თავი ამავე სოფელში არა ნაკლებმა სენმა ხუზარამ, რომელმაც იმსხვერპლა აგრეთვე ადამიანიც; ვინაიდან ვეტ-პერსონალს ამ სენის წინააღმდეგ არ უწარმოებია აცრა, ამიტომ ხალხი ხუზარას წინააღმდეგ აცრას უცქეროდა ეჭვიანი თვალით.

მაგრამ ადგილობრივ საბჭოს თავმჯდომარე ამხ. კარალაშვილი და ვეტ-პერსონალის ახსნა განმარტების შემდეგ აცრილი იქნა მთელი სოფლის საქონელი; აცრისაგან არ მომკვდარა არც ერთი სული და არც ძროხები გაბელწებულა, რისაც ძალიან ეშინოდა ხალხს. ბორჯომის რაიონის ვეტ-პერსონალმა საქონელი აცრა სრულიად უფასოთ მიწათ-მოქმედების კომისარიატის მიერ დამზადებული ვაქცინებით ორჯერ. მეორე აცრის დროს ზოგიერთებს აცრილი ადგილი გაუსივდათ ცოტათი, რაც ისევ მალე გაქრა. ჩვენ სოფლის შემდეგ სხვა სოფლებშიც მრავალი საქონელი იქნა აცრილი; აცრა ჩატარდა ყველგან სრულიად უმსხვერპლოთ. ხალხი ძალზე მადლიერია როგორც მიწათმოქმედების კომისარიატის, ისე ბორჯომის რაიონის ვეტ-პერსონალის რაც შეეხება ვეტ-პერსონალის. ცუდ მდგომარეობას ჯამაგირის სიმცირის გამო, გლეხობა იმედოვნებს, რომ მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატისაგან მათი შრომაც იქნება ახლო მომავალში სათანადოთ დაფასებული.

გუჯარეთელი გლეხები.

სოფ. დირბი (გორის მაზრა)

1921 წლიდან სოფ. დირბი (რუისის რაიონი), როდესაც დაიკეტა იქ კოოპერატივი, მიტოვებული იყო ჩარჩების ანაბარად. ამ დროის განმავლობაში არავინ გაუჩნდა სოფ. დირბს გულშემატკივარი, არავინ იდო თავს ინიციატივა კოოპერატივის გახსნისა. ეხლა კი ივლისის 20-ს გვეღირსა მისი გახსნა.

გომის კოოპ-თა კავშირის გამგეობა წინასწარ შეეკითხა ს. დირბის მოწინავე ელემენტებს განყოფილების გახსნის შესახებ და, გამოითქვა რა სურვილი მისი გახსნისა 20 ივლისს, გვესტუმრენ ამხ. რუხაძე (კავშირის გამგ. წევრი) და ამხ. ირემაშვილი (ინსტრუქტ.) და თან მოგვიტანეს პირველ მოთხოვნილების საგნები.

მოწვეული იყო სოფლის მცხოვრებლების ყრილობა, სადაც ამხ. რუხაძემ და ირემაშვილმა ფართო მოხსენებებში გააცნეს ხალხს კოოპერაციის მნიშვნელობა. ხალხის აღფრთოვანებას საზღვარი არა ჰქონდა; ეს ადვილი გასაგებიც არის: ვინც იცნობს ქარელის ბაზარზე ჩარჩების მუხრუჭს გლეხების მიმართ, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს გლეხები უკანასკნელი ჭირნახულით ზურგზე ტომარა მოკიდებული ნავთის, მარილის და სხვა აუცილებელ საჭიროების საგნების სასყიდლად, ის მიხვდება, თუ რა განუზომელი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ამ განყოფილებას.

ვუსურვოთ მას აყვავება!

სოფ. დირბმა არ უნდა დაივიწყოს 20 ივლისი.

ხერნარი.

ნიაღვარი ლეჩხუმის მაზრაში

არა ჩვეულებრივ ნიაღვარს ჰქონდა ადგილი ლეჩხუმის მაზრაში ივნისში, რომელმაც წალეკა ნათესების 15 %; უიმისოთაც მოსავალი მაზრაში საშუალოზე ნაკლები იყო მოსალოდნელი. 10 ივლისს კიდევ უფრო მეტი ძალით განმეორდა ნიაღვარი, რომელმაც კიდევ უფრო მეტი ზიანი მიაყენა ნათესებს. ისედაც ღარიბი გლეხობა იძულებულია მაზრის გარეთ წავიდეს საზრდოს საძიებლათ.

სამაზრო ქალაქ—ცაგერს გარშემო არტყია მთები—ქალაქის ნაპირათ დასავლეთით ჩამოდის პატარა ღელე. ამ ღელეს აურებელი ქვები ჩამოაქვს ქალაქში და უქადის მას განადგურებას. სამაზრო აღმასკომმა მიიღო ზომები და თავის საშუალებით გააკეთა 60 საჟენის მანძილზედ საფარი (დამბა), მაგრამ ამან ვერ შეაჩერა 10 ივლისს მოსული ნიაღვარი, რომელმაც წალეკა ტეხნიკუმის შენობა და 5 მოსახლე.

ლეჩხუმის აღმასკომს არ აქვს საშუალება გაუწიოს დახმარება განადგურებულ ოჯახებს.

საჭიროა ცენტრის დახმარება, და სპეცების გაგზავნა წყლის სამმართველოდან და მუშაობის დაწყება ქალაქის უშიშროების უზრუნველსაყოფად.

მ. მიმინოშვილი.

ქვემო მაჩხაანი (ქიზიყი)

ქვემო-მაჩხაანში (ქიზიყი) იქნა ბოროტ გამძრახველების მიერ გატეხილი ამხ. „მწყემსი"-ს საწყობი; ადგილობრივი მილიციის სიფხიზლის გამო ქონების გატაცება ვერ მოასწრეს; ქონება უღირდა 5,000 მანეთს.

„მწყემსი"-ს გამგეობის წევრმა დიმიტრი გონაშვილმა მილიციის ასეთი მოქმედებისთვის გადასცა რაიმილიციის სასარგებლოთ 200 მანეთი და 500 მანეთი ადგილობრივი ბაღის საამშენებლო ფონდისთვის.

ქვემო-მაჩხაანის მილიცია და ბაღის საა ღმშენებლო კომისია მხურვალე მადლობას უძღვნის „მწყემსი"-ს ამხანაგობას და დიმიტრი გონაშვილს მილიციის მოქმედებაზე ასეთი გამოხმაურებისათვის.

შ. ალავერდაშვილი და ი. ფხეიძე.

წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულო რედაქტორო!

იმის შემდეგ, რაც მოხდა ქართველ მსახიობთა კულტურული კავშირის დაშლა, კორპორაცია „დურუჯი"-ს გამოყოფით, საზოგადოებაში შეიქმნა მითქმა-მოთქმა, თუ ვის მხარეზეა სახალხო თეატრის ქართული დრამა, „ჯეირანი"-ს კორპორაციის სახით, რომელმაც არ მიიღო მონაწილეობა აღნიშნულ კავშირის ყრილობაზე; ამიტომ გთხოვთ დაგვრთოთ ნება, რომ საზოგადოებას ვაუწყოთ შემდეგი: კორპორაცია „ჯეირანი", რომელმაც ამ წლის თებერვლის 15-ს სთქვა თავისი მარტივი სიტყვა და აღიარა მრწამსი მუშურ-ხალხური თეატრის და მისი მსახიობის—როგორც მოქალაქის,—**მოდავეთა** ვერცერთ მხარეს ვერ მიეკედლება, რადგან საქართველოს სინამდვილეში (გარდა რუსთაველის და ქუთაისის თეატრებისა) ყველა ადგილობრივი და პროვინციის თეატრი-აუდიტორიები უაღრესად მუშურ-ხალხურია და თავისი ყოფით ვერ გაჰყვება ვერც აკადემიურობას და ვერც ძიებას თეატრალურ ფორმების დარგში. აქედან-კი ცხადი ხდება, რომ ამ თეატრი-აუდიტორიების მამა მთავარი, თბილისის სახალხო თეატრი, მიმცემი ტონისა პერიფერიებში, აწარმოებდა და აწარმოებს უმთავრესად **კლასიურ—რეალურ რეპერტუარს**, ეწეოდა და გასწევს მხატვრულ აგიტაცია-პროპაგანდას, ხალხურ-მუშურ ფართე მასებში, იმ დრამებით და კომედიებით, რომელიც ფარდასა ხდის, ამჟღავნებს პოლიტიკურ-ეკონომიურ და წოდებრივ ურთი-ერთობაზე აღმოცენებულ დრამატიულ თუ კომიკურ განცდა-ყოფას და ჟამსა-კი ამბოხება აჯანყებას, ჩამოყალიბებულს ხელოვნების რეალურ ჩარჩოებში, მასისათვის მისაწვდომ ფორმებში.

სახალხო თეატრის ხაზი მარტივია და, რა თქმა უნდა, ვერ შეითვისებდა ყოფილ „სათავად-აზნაურო" თეატრის ტრადიციებს წარსულში და ამავე თეატრის აკადემიურობას აწმყოში,—ასე იყო წინეთ, ასევეა ეხლაც.

ძიებითი თეატრი-კი, „დურუჯი"-ს სახით, მიგვაჩნია ერთნაირ რევოლიუციად სათეატრო ასპარეზზედ „რუსთაველის" თეატრის მასშტაბით, გარღვევათ, დროთადენისა გამო დაგროვილი, მაგრამ რევოლიუციის მიერ უარყოფილი ტენდენციებისა და ძიებათ ახალი გზა-ფორმისა იგივე „რუსთაველის" თეატრის რკალში;—ვინაიდან ვერც ეს ძიება გაიტაცებს სახალხო თეატრებს და მის მუშა, მშრომელ ინტელიგენტ მსახიობთ, ესენი თავისი არსებით ეკუთვნიან იმ კლასს, **რომელიც ეძებს და შეითვისებს ყოველგვარ ფორმას,—ფორმისათვის კი არა, არამედ აზრის, შინაარსის გასამშვენიერებლად**, რადგან მშრომელთ სამყარო იჩემებს ყველაფერს მიწაზე, თავის ყოფის მოსამაგრებლად, გასამარჯვებლად და თეატრსაც ეწავკის იმდენად, რამდენათაც აქ ხედავს თავის ყოფა-ცხოვრების ავკარგიანობას და ეძებს გზებს აღთქმის ქვეყნისაკენ—სოციალიზმისაკენ, თეატრით გულისხმობს ლამპარს წყვდიადში.

რაც შეეხება ქართველ მსახიობთა კულტურულ კავშირს, „ჯეირანი"-ს კორპორაცია ვერც აქ შევა, რადგან რესპუბლიკაში არსებობს პროფესიონალური ორგანო, ეგრედ წოდებული „ხელოვნების მუშაკთა კავშირი" (რაბის), თავის კულტურულ განყოფილებით და აქეთ არის მიქცეული „ჯეირანი"-ს ყურადღებაც.*)

კორპორაცია „ჯეირანი"-ს პრეზიდიუმი.

---

*) თანახმად კორპორაცია „ჯეირანი"-ს თხოვნისა, ვათავსებთ ამ წერილს.
რედ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ცირკულიარულად

პირველ მოთხოვნილების საგნებზე მტკიცე ფასების დაცვისათვის

ამ ბოლო ხანებში შემჩნეულია, რომ ბაზარზე მეტად ქანაობენ ფასები პირველი მოთხოვნილების იმ საგნებზე, რომელნიც შედიან საბიუჯეტო აღრიცხვაში (ფქვილი, ბრინჯი, კარტოფილი, კომბოსტო, ხორცი, კარაქი, ერბო, რძე, კვერცხი, თევზი, შაქარი, მარილი, ფეხსაცმელი, ჩითი, ტილო, ნავთი, საპონი, თუთუნი, ასანთი, შეშა და სხვა). ამ ქანაობას უმთავრესად პირველი მოთხოვნილების საგნებზე ფასების აწევა ახასიათებს.

რათა ასეთ მოვლენებს ადგილი აღარ ექნეს და ბაზარზე სრული წონასწორობა იქნეს დამყარებული პირველი მოთხოვნილების საგნებზე, დაწესებული მტკიცე ფასების შენარჩუნების სახით, ა.-კ. ფ. ს. რ. შინა ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში წინადადებას გაძლევთ მიიღოთ სათანადო ზომები ბაზარზე შინაური ვაჭრობის სავსებით მოსაწესრიგებლად; ამისათვის ადგილობრივმა კომისიებმა უნდა მიმართონ უმთავრესად ბაზარზე ეკონომიური ზეგავლენის ზომებს. საჭიროა მომხმარებელთა ფართო მასისათვის პირველი მოთხოვნილების საგნების მიწოდების საქმე უმთავრესად და [illegible] სავსებით იქნეს მოქცეული კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებათა ხელში.

ადგილობრივმა ფასების დამკლებ კომისიებმა უნდა მიიღონ ყველა მათგან დამოკიდებული ზომები, რათა დააწესონ მტკიცე ფასები პირველი მოთხოვნილების იმ საგნებზე, რომლებზედაც შინა ვაჭრობის სახკომის მიერ არ არის დაწესებული მტკიცე ფასები, მაგრამ რომელნიც შედიან საბიუჯეტო აღრიცხვაში (როგორც მაგ. ხორცი, რძე, კარაქი, კვერცხი და სხვ.) კომისიებმა ასეთ პირობებში უნდა მიმართონ ეკონომიური ზეგავლენის ზომებს, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც სხვაგვარი გამოსავალი აღარ არის, მათ უფლება ეძლევათ დააწესონ ზოგიერთ ასეთ პროდუქტებზე სავალდებულო ფასები თვით კერძო მწარმოებლებთან შეთანხმებითაც. იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილობრივი პირობების მიხედვით შეუძლებელი ხდება შინა ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ დაწესებული განსაზღვრული ფასების გატარება, ადგილობრივ კომისიებს შეუძლიათ შესცვალონ ეს ფასები (ფასების აწევის მხრით) მხოლოდ ა.-კ. ფ. ს. რ. შინა ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის დასტურითა და სანქციით, რისთვისაც რწმუნებულის სამმართველოში წინასწარ უნდა იქნეს გამოგზავნილი მთელი მასალა ამა თუ იმ პროდუქტზე ფასების შეცვლის საჭიროების შესახებ.

ადგილობრივ აღმასკომებთან არსებული ფასების დამკლები კომისიები სასტიკ თვალ-ყურს უნდა ადევნებდენ დაწესებული ფასების ცხოვრებაში მტკიცე გატარებას და თვითეულ ცალკე შემთხვევაში მისი დამრღვევნი პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემულნი.

კომისიები ყოველდღიურად უნდა ადევნებდენ თვალ-ყურს პირველ მოთხოვნილების საგნებზე ფასების მოძრაობას და ყოველ ათ დღეში (თვითეულ თვის 10—20—30-ს რიცხვებში) აუცილებლად და რეგულიარულად უგზავნიდენ ცნობებს ა.-კ. ფ. ს. რ. შინა ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს—ადგილობრივ ბაზარზე ფასების მოძრაობისა და საერთოდ ბაზრის მდგომარეობის შესახებ.

ამასთანავე ერთად ადგილობრივ ფასების დამკლებ კომისიებს ევალებათ მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება და მიიღონ სათანადო ზომები საგარაკო-საკურორტო ადგილებში პროდუქტებზე მაგარი ფასების შესანარჩუნებლად და მათ სავსებით დასაცავად, ვინაიდგან ამ ბოლო ხანებში შემჩნეულია ტენდენცია პირველი მოთხოვნილების საგნებზე ფასების აწევისა საგარაკო-საკურორტო ადგილებში. ბაზარზე ფასების წონასწორობის დასაცავად კომისიებმა უნდა იხელმძღვანელონ ამა ცირკულიარში აღნიშნული მეთოდებით და დირექტივებით. ამ მიმართულებით თქვენ მიერ გადადგმული ნაბიჯების შესახებ—ცნობები დაუყოვნებლივ უნდა გამოგზავნოთ რწმუნებულის სამმართველოში ზემოაღნიშნულ მასალასთან ერთად.

ა.-კ. ფ. ს. რ. შინა ვაჭრობის სახკომის რწმუნ. საქართველოში გამყრელიძე.
მდივანი აბესაძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ცეკას საგიტ.განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. გიორგი მელუას დაუყოვნებლივ გამოცხადდეს საგიტაციო განყოფილებაში.

საგიტგანყოფილების გამგე ბახტაძე.

განცხადებები

მოწვეულ არიან **მსურველნი,**
ქალნი და ვაჟნი, სხვადასხვა წლოვანებისა,
კინო სურათში მონაწილეობის მისაღებად

მსურველთ, **რეჟისორი კ. მარჯანიშვილი** მიიღებს რუსთაველის თეატრში ივლისის 27-დან აგვისტოს 1-მდე, 12—3 საათამდე.
1576 1—1

ხელისმომწერთა და მკითხველთა საყურადღებოთ

ცეკას გამომცემლობის მთავარი კანტორა და ექსპედიცია [illegible]

რომ, რათა ხელისმომწერლებს გაუადვილდეს გაზეთების გამოწერა და ასცდენ ზოგიერთ ხარჯებს, [illegible] ში მთავარ პოლიტგანათლების [illegible] აგენტს **ძაძეიშვილს, ხონში გალდავაძეს** და **სამტრედიაში ახობაძეს** მინდობილი აქვთ აწარმოონ ხელის მოწერა როგორც კოლექტიური, ისე ერთეული გაზეთ: „კომუნისტ"-ზედ, „მუშა"-ზე, „მიწის მუშა"-ზე და მოსკოვის გაზეთებზე.

ხელისმომწერლებს ვთხოვთ ადრევე შეუდგენ გაზეთების გამოწერას, რომ საშუალება დარჩეს კანტორა-ექსპედიციას თავის დროზე მიაწოდოს გაზეთები. ამასთანავე მისამართები უნდა იქნას სწორედ და გარკვევით აღნიშნული. პროვინციაში კი ნაჩვენები უნდა იყოს მისამართებში უახლოესი ფოსტის დაწესებულება.

მთავარი კანტორის და ექსპედიციის გამგე: ვ. ბოლქვაძე.
5—2

ქალ. თბილისის ხელისმომწერთა საყურადღებოთ

რადგან ბევრია შემთხვევა, რომ მისამართები და ხელისმომწერთა სიები გამოგზავნილი არ არის სწორათ და გარკვევით შედგენილი, რაც იწვევს ხელისმომწერლებისათვის გაზეთების მიწოდების შეფერხებას და ზოგჯერ მიუწოდებლობასაც შემცდარი მისამართების გამო, ამისათვის ცეკას გამომცემლობის მთავარი კანტორა—ექსპედიცია სთხოვს ყველა ხელისმომწერლებს, კოლექტიური იქნება თუ ერთეული და ადგილკომებს სიები და მისამართები სწორათ და გარკვევით იქნას შედგენილი, აღნიშვნით უბნის, ქუჩის სახელწოდებით, სახლის და ბინის ნომერის და გვარით.

მთავარ კანტორის და ექსპედიციის გამგე ვ. ბოლქვაძე.
5—3

საქართველოს კომპარტიის ცეკას გამომცემლობის მთავარი კანტორა--ექსპედიცია

აუწყებს ორგანიზაციებს, დაწესებულებებს და კერძო პირთ, რომ ხელისმოწერას ღებულობს მოსკოვის ჟურნალ-გაზეთებზედ და პერიოდულ გამოცემებზე. კანტორა პასუხისმგებელია ხელის მომწერლებისათვის თავის დროზედ მიწოდებაში. მსურველებმა უნდა გამოიწერონ არა უგვიანეს თვის 28 რიცხვისა.

ხელისმოწერა ყოველ დღე დილის 9—2 საათამდე. მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 24 მეორე სართული.

მთავარ კანტორის და ექსპედიციის გამგე ვ. ბოლქვაძე
5—3

ჭიათურის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი

შალვა სიმონს ძე ლაბაძე, აცხადებს, რომ ოცდა ათ ამა ივლისს, ნაშუადღევის პირველ საათზე, ჭიათურის სამრეწველო რაიონის, პატარა ჯიქაურაში მოხდება საჯარო ვაჭრობა შემდეგ ვალში აწერილ ნივთებზე: 1) „სპუსკზე" გაკეთებული „ბრემსბერგი" ოთხი მავთულით, ორი ვაგონეტკის ასაწევი და ორიც ვაგონეტკის გამტარებელი,—თავისი მოწყობილობით, შეფასებულია ოც ჩერვონეცათ; 2) „სპუსკზე" დაყრილი შავი ქვა, დაახლოვებით ორმოცი ათასი ფუთი, შეფასებულია—ექვსას მანეთად; 3) გაურეცხავი შავი-ქვა, დაყრილი ბაქნებზე №№ 27—27ა, დაახლოვებით—ექვსი ათასი ფუთი, შეფასებულია 240 მანეთად, დასაკმაყოფილებლად პრეტენზიისა მელქისედეკ კანდელაკისა—1040 მანეთში თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოსგან გაცემულის 28 ივნისიდან 1924 წ. № 24,612.

გასაყიდი ქონება ეკუთვნის სავაჭრო სახლს „აზვესტოპულოზაროფილი".

საჯარო ვაჭრობა დაიწყება ძირითადი შეფასებიდან... ყოველივე ცნობების მიღება ამ საქმეზე შეიძლება ჩემს კანცელარიაში ქ. ჭიათურაში—ყოველდღე დილის 8 საათიდან—12 საათ.
1573 1—1

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით **რენტგენი დ'არსონვალი**
მიხეილ გედევანაშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
126—25—13

ექიმი გ. გ. მეგრაბიანი
შინაგანი, გულისა და ჰლექით დაავადმყოფებულნი. სპეც. ციების წამლობა—შეზხაპ. 914, ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა
რენტგენის სხივებით
დილ. 9—1 დღ. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.
1562 13—3

დავკარგე სახლის წიგნი სოფია სიხარულიძის სახელზე, მცხ. ანტონის ქ. № 22. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1575 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა, რკ. გზ. ანა ზაქარიას ასული დედანიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1576 1—1

დავკარგე პასპორტი, სარეგისრრაციო ბარათი და სამხედრო აღრიცხვის ბილეთი არუთინ სარიბეკოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1572 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა № 3409 მოცემული რკ. გზ. დამცრაზ. მე-2 უბნის სამართველოდან, საჰაერო ფლოტის წიგნაკი, რკინის გზის მუშათა კლუბის წევრობის წიგნაკი და მოწმობა „ვ" № 13161 ჩაითვალოს გაუქმებულად.
1574 1—1

ამიერ-კავკ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში

ამით აცხადებს, რომ თანახმად საბჭოთა სოც. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. 15 ნოემბრის და ს. ს. რ. კავშირის ფინსახკომის 30 ნოემბრის № 0422171 დადგენილებისა და ი. წ. 4 დეკემბრის ფინსახკომის მიერ შინა-ვაჭრობის კომისიასთან შეთანხმებით გამოცემული ინსტრუქციისა, **შემოღებულია,** დამოუკიდებლად სალერბო გადასახადისა, განსაკუთრებული გამოსაღები (გადასახადი) ქალაქებში სავაჭრო წარმოებების მე-4 და 5 ხარისხის სასტუმროების, რესტორანების' საყავეების, სატრაქტირო წარმოების (დუქნების) ღვინის მიცემით და კაბარეების მიერ გაცემულ ანგარიშებიდან, რომლის წარდგენა, მიუხედავათ მიმსვლელის ან მდგმურის მოთხოვნილებისა, სავალდებულოა. ამ ვალდებულების შესასრულებლად დებულება და ინსტრუქცია ზემოაღნიშნულ კატეგორიის სავაჭროებმა უნდა მიიღონ ადგილობრივ ფინანსთა ინსპექტორისაგან ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამის გამოცხადებისა. არავითარი განცხადება ინსტრუქციის მიუღებლობაზე, დაწესებულ ვადის შემდეგ, მხედველობაში მიღებული არ იქნება და ინსტრუქცია ჩაბარებულათ ჩაითვლება. ინსტრუქციის მიღებიდან ოთხი კვირის განმავლობაში ზემოაღნიშნული წარმოებანი ვალდებულნი არიან შეიძინონ კანონით გათვალისწინებული საანგარიშო წიგნაკები. დადგენილების შეუსრულებლობისათვის ბრალდებულნი დაჯარიმდებიან 100 მან. და პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი საკავშირო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების მიხედვით.

ა | კ. ფინსახკომის საქართველოში რწმუნებულის მოადგილე ი. ფანცხავა.
გადასახადთა განყ. მმართველი ილ. ჩიქოვანი.
ნ. 1351 1—1.

ტირაჟი—12,500
სტამბა „ზარია ვოსტოკის", სამ. წულუკიძის ქუჩა № 4.